№ 27
(11 176)

8 – 10 აპრილი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

◆ ეჰ, ხაზინა, ხაზინა...
◆ ქართული ფეხბურთი პერიოდულ სარკეში
◆ კარატე-დო – მსოფლიო უნივერსიადის პროგრამაში
◆ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის წინ – ინგლისის ეროვნული ნაკრები

შემდეგ ნომერში:

ანონსი ● „ლელოს" შემდეგ ნომერში წაიკითხეთ:
◆ „ფეხბურთის ჩემპიონთა დარბაზი" და მისი ლაურეატები
◆ გახსოვთ იური სევიდოვი? ციხეში თურმე ამ ცნობილ ფეხბურთელს ქართველი ქურდი, მეტსახელად „ზვერი", მფარველობდა

◆ აველანუი გათიშული კორეის მედიატორობას კისრულობს
◆ რა ღირს ჭადრაკის თამაში? რაც დღეს ღირს, ფიშერის დამსახურებაა
◆ კროსვორდი, საჭადრაკო ამოცანა...

წაიკითხეთ ეს წერილი ქვეყნის პრეზიდენტს

სპორტის ვალებს ხაზინაში ღრმად სძინავს

გულუბრყვილოებს ეგონათ, რომ დადგებოდა 1998 წელი და ჩვენი ქვეყნის ხაზინა, არათუ შარშანდელ ვალებს გაუსტუმრებდა ეროვნულ სპორტს, წლევანდელსაც ზედ მიაყოლებდა მოწიწებით, დარცხვენით და მობოდიშებით. თქვენც არ მომიკვდეთ, აგერ ამ, ვითომდა იმედად ჩამომდგარი ახალი წლის პირველი კვარტალიც მიილია, ხაზინა კი ძველებურად გველეშაპივით ჩასაფრებია ქართული სპორტის ერთადერთ მასაზრდოებელ წყაროს. რომ ჰკითხოთ, პრეზიდენტის ბრძანებულებით წლეულს ყველაფერს გაგისტუმრებთო, მაგრამ წელიწადი ხომ მთელი 12 თვეა, ასე ნელ-ნელა გადის დრო დაპირებებით, წლის ბოლოს კი, ისიც, ან გადაიხდიან, ან არა. მაგრამ აქ საქმე სხვა რამეშია, წლის მიწურულისთვის წლევანდელი ვალი შეიძლება საერთოდ აღარ დარჩეს ხაზინას — ჰა და ჰა, სადაცაა ქართული სპორტი თავზე დაგვენგრევა. ამდენი მოტყუების გადამკიდე სპორტსმენებს, აღარც ვარჯიში უნდათ, აღარც საკუთარი ან ჩამონათხოვრებული ფულით შეჯიბრებებზე გამგზავრება სურთ. კვდება ქართული სპორტი და სავალალო ისაა, რომ უახლოესი ჭირისუფლებიც ვეღარაფერს ჰშველიან, მათაც მობეზრდათ ამდენი მათხოვრობა და თავმოყვარეობის შელახვა. ღმერთმა ნუ ჰქნას, პანაშვიდამდე მივიდეს საქმე. ჩვენი გაზეთისთვისაც უმძიმესი ტრაგედია იქნება მკითხველს ვაუწყოთ „გარდაიცვალა ქართული სპორტი".

სულ ახალი მაგალითი: კრივში საქართველოს ჩემპიონატი უსახსრობის გამო ჩაიშალა. არადა, წინაა ევროპის ჩემპიონატი და თასის გათამაშება. 28 კანდიდატიდან ძირითადი შემადგენლობა ვერ შეურჩევიათ. იწყება ბუნტი, ბიჭები აცხადებენ, არსადაც არ წავალთ, ვიდრე ოჯახს, თუნდაც ორი თვის ხელფასს მაინც არ დავუტოვებთო. ხედავთ? ვადაგადაცილებული ხელფასის გაცემაც ვერ ხერხდება, არ სურს ხაზინას და იმიტომ. ვისაც ქართულ სპორტზე შესტკივა გული და სავარძლიდან ხელი თუ ხმა მიუწვდება ფულის ადგილისდედამდე, ყველას გასაგონად ვაცხადებთ — შეანჯღრიეთ ხაზინა, ისე შეანჯღრიეთ, რომ ეგებ გამოფხიზლდეს და ქართული სპორტისთვის გამოყოფილი გასაცოდავებული ლარებიც დაიძრას ადგილიდან.

ნულარ დააყოვნებთ, გახსოვდეთ, ქართული სპორტი სიკვდილის პირზეა მისული, როგორც მედიცინის მუშაკები იტყვიან, კომაშია!

მიმომხილველი

საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი XXI ტური

ისევ შენ, „აბრეზ"!

მერანი-91 (თბილისი) — მარგვეთი (ზესტაფონი) 1-0

მერანი: ნაჭყებია, ივანიშვილი, ალადაშვილი, გოგიტაძე, ბუხრიკიძე, გეწაძე (დანელია, 67), კაპანაძე (ბერაია, 77), ინიაშვილი, ხორხელი, მაზანიშვილი (აბაზაძე, 67), დავითაშვილი.
მარგვეთი: მერკვილიშვილი, კაკაბაძე, გურიელიძე, ყვანია, გოგაძე, კაციაშვილი, სულაკაძე, გაბრიჭიძე, ქურციკიძე (შავგულიძე, 69), მაღრაძე, მალაღურაძე.
გოლი: აბაზაძე (82)
გააფრთხილეს: ივანიშვილი
მსაჯი: ავთანდილ შალამბერიძე (ქუთაისი)

მასპინძლები მეორე წრეში პირველ მატჩს ატარებდნენ მშობლიურ „სინათლეზე", მაგრამ გულშემატკივარს თავი დიდად არ შეუწუხებია — ალბათ გასავარდნად განწირულ „მარგვეთთან" თავიანთი გუნდის იოლ გამარჯვებას და მდარე ბურთაობას იმედოვნებდნენ. მაგრამ „მერანს" აუტსაიდერის ძლევა ერთობ გაუჭირდა, ხოლო მდარე და ულაზათო თამაში იცოცხლეთ — იყო...

მერანელები ძირითადად მარჯვენა ფლანგიდან უტევდნენ, სადაც ივანიშვილსა და ინიაშვილს ხორხელიც ეხმარებოდა. მოედნის სხვა ადგილებზე კი ფაქტობრივად თანაბარი, უინტერესო ბრძოლები მიმდინარეობდა. ანგარიშის გახსნა ტრანსპორტელთა გუნდს პირველ ტაიმშიც შეეძლო — მაზანიშვილმა ზუსტი, დროული და გრძელი პასი გაუკრა დავითაშვილს, რომელიც მერკვილიშვილთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ ბურთი კარგად ვერ დაამუშავა (რაშიც ცუდმა მინდორმა დიდი როლი ითამაშა), რის გამოც მცველებთან ბრძოლაში მოუწია დარტყმა ზედ სტუმართა საჯარიმოს ხაზიდან. დარტყმა ზესტაფონელმა მეკარემ უვნებელყო.

მეორე ნახევარში მასპინძლები უფრო მონდომებულად და აგრესიულად გამოიყურებოდნენ, მაგრამ მეტისმეტად ღელავდნენ და ნერვიულობდნენ — ორი მარცხის შემდეგ აუტსაიდერთან არმოგება ძალზედ არასასურველი იყო ჯონი ჯანელიძისთვის და, საერთოდ, მთელი გუნდისთვის. თუმცა, მერკვილიშვილის კართან „მერანი" ვერავითარ ხიფათს ვერ ქმნიდა, ფეხბურთელები დაბნეულად და არაპროდუქტიულად ირჯებოდნენ, გუნდი აშკარად ითხოვდა ლიდერს, რათა მიზანმიმართულად ამოქმედებულიყო. გამორჩეული ლიდერი კი „მერანს" ნამდვილად არ ჰყავს, მაგრამ დავითაშვილმა შეახსენა ჯონი ჯანელიძეს, რომ იგი „მერანის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა — ზესტაფონელთა საჯარიმოში „აბრეზა" მცველებთან ძალისმიერ ბრძოლაში დაეუფლა ბურთს, სისწრაფის ხარჯზე გასცდა ერთ-ერთ მარგვეთელს და კარის გასწვრივ ჩაწოდა, სადაც ინიაშვილი და მერკვილიშვილი ცდილობდნენ დაესწროთ მისთვის, მაგრამ ბურთმა „აბრეზასთან" მისვლა „ინება", მან კი დაახლოებით ერთი მეტრიდან დალაშქრა სტუმართა ცარიელი კარი. აბაზაძეს მეორე გოლის გატანაც შეეძლო — ინიაშვილის კუთხურს თავური მიაყოლა, რომელიც ძელმა უვნებელყო.

დათო თავართქილაძე

სიონი (ბოლნისი) — ლოკომოტივი (თბილისი) 0-2
უნივერსიტეტი (თბილისი) — გურია (ლანჩხუთი) 0-0
კოლხეთი-1913 (ფოთი) — ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 1-0
დინამო (ბათუმი) — სამგურალი (წყალტუბო) 7-1
ტორპედო (ქუთაისი) — დილა (გორი) 1-0
მერანი-91 (თბილისი) — მარგვეთი (ზესტაფონი) 1-0

ამ ტურის ორი მატჩი გადაიდო: მაღაროელი — რუსთავი. იმის გამო, რომ სტუმართა გუნდის ორი მოთამაშე გაწვეული იყო საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში (ჩვენმა თვრამეტწლიანებმა ერევანში სომეხ თანატოლებთან ამხანაგური შეხვედრა წააგეს ანგარიშით 1-2), ხოლო ოდიში — დინამო (თბ.) არ გაიმართულა ზუგდიდში არასტაბილური ვითარების გამო.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დინამო (თბ.)	20	17	2	1	57-7	48
დინამო (ბთ.)	21	13	5	3	47-14	44
კოლხეთი-1913	21	13	3	5	42-18	42
ოდიში	20	13	2	5	33-25	41
ტორპედო	21	11	6	4	35-19	39
თსუ	21	9	6	6	27-15	33
მერანი-91	21	9	6	7	25-26	27
ლოკომოტივი	21	7	6	8	22-28	27
ვიტ-ჯორჯია	21	6	7	8	20-24	25
დილა	21	7	3	10	18-27	24
სიონი	21	7	6	8	32-27	22
რუსთავი	20	7	0	13	19-33	21
სამგურალი	21	5	4	12	20-43	19
გურია	21	3	7	11	20-42	16
მაღაროელი	20	3	3	14	17-48	12
მარგვეთი	21	1	5	15	13-50	8

შენიშვნა: „დინამოს" (თბ.), „მერანს" და „სიონს" დაკლებული აქვთ 5-5 ქულა

რუბრიკის პრემიერა: სფფ-ს მომავალი არჩევნები. გზა მიეცით ღირსეულთ!

ახლოვდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები. ჩვენში ფეხბურთი ყოველთვის საყოველთაო-სახალხო სპორტის სახეობად იყო მიჩნეული და, ამდენად, იგი ზოგად ეროვნულ ინტერესთა სფეროშია მოქცეული. ითვალისწინებს რა ქართული ფეხბურთის მომავალს, ცხადია, ჩვენი საზოგადოებრიობა შეუნელებელ ყურადღებას იჩენს სფფ-ს მომავალი არჩევნებისადმი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, „ლელომ" გადაწყვიტა თავის ახალ რუბრიკაში წარმოაჩინოს საზოგადოებრივი აზრი — ადგილი დაუთმოს ფეხბურთის გულშემატკივრებს, სპეციალისტებს. ვინც გამოგვეხმაურება, ვთხოვთ, პასუხი გასცენ მხოლოდ ორად-ორ შეკითხვას:

1. ვის ისურვებდით და რატომ სფფ-ს პრეზიდენტად?
2. რა გზებითა და საშუალებებითაა შესაძლებელი ქართული ფეხბურთის დონის ამაღლება?

ველით თქვენს გამოხმაურებას.

ჭადრაკი

ბახტაძე და ჭარხალაშვილი

დამთავრდა საქართველოს პირველობა 18 წლამდე ჭაბუკთა და გოგონებს შორის, რომელიც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისთვის შესარჩევი შეჯიბრებებიც იყო. ასპარეზობა შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად მიმდინარეობდა.

ჭაბუკებში 7-7 ქულით დაამთავრეს შეჯიბრება გიორგი ბახტაძემ, ნიკოლოზ შავთვალაძემ და დავით შენგელიამ. უკეთესი დამატებითი მონაცემებით პირველი ადგილი ბახტაძეს დარჩა, მეორე — ნიკა შავთვალაძეს. ჩინებულად ითამაშა ჭაბუკების შეჯიბრებაში ანა მათნაძემ, რომელმაც 6,5 ქულა მოაგროვა და 55 მონაწილეს შორის მეხუთე ადგილზე დარჩა.

გოგონებში 7,5 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა ინგა ჭარხალაშვილი. 7-7 ქულით დაამთავრეს შეჯიბრება სოფიკო გვეტაძემ (იგი კოეფიციენტით მეორეა), თინა ჭარხალაშვილმა და ლელა ჯავახიშვილმა.

უმაღლესი ლიგა. პირველი წრე

დაიწყო საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა, რომელიც რამდენიმე ეტაპად ტარდება.

პირველ წრეში 24 მოჭადრაკე ხვდებოდა ერთმანეთს. დიდოსტატმა ნინო ხურციძემ მოუგო გიორგი სიხარულიძეს, გიორგი ბახტაძემ — ნიკო ლეკვეიშვილს, ალექსანდრე ყაშაშვილმა — რევაზ დადიანს, მიხეილ მჭედლიშვილმა — გოჩა ტყებუჩავას, დავით შენგელიამ — ოთარ ჯირკვალიშვილს, აკაკი შალამბერიძემ — ნიკოლოზ შავთვალაძეს, ალექსანდრე მაკარაშვილმა — მიხეილ ჭიპაშვილს, დიდოსტატმა მაია ლომინეიშვილმა — სოფიკო ნიკოლაძეს, ნატო ეძგვერაძემ — ვარლამ ვეფხვიშვილს, რუსუდან გოლეთიანმა — ზაზა ხოფერიას, სოფიკო ტყეშელაშვილმა — იური ჩიქოვანს და ჯამბულ მახარაძემ — იოსებ კვირიაშვილს.

მილოცვები

საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენი" დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ქართული სპორტის ამაგდარ მოღვაწეს, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ***ჯანო ბაგრატიონს.***

* * *

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს დედაქალაქის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს, ქართული სპორტისა და საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის თვალსაჩინო ხელმძღვანელს ***ჯანო ბაგრატიონს.***

კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

ვადები კვლავ შეიცვალა

ყველამ ვიცოდით და აკი მკითხველსაც შევატყობინეთ, რომ ნახევარფინალის პლე-ოფის შეხვედრები 6 აპრილიდან დაიწყება, მაგრამ მოგვიანებით, საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ახალი ვადები დაადგინა — მატჩები სპორტის სასახლეში 11, 13 და 15 აპრილს გაიმართება.



რაგბი

ჩვენები იგებენ და იგებენ...

ევროპის ბოლო ჩემპიონატის ორ შესარჩევ მატჩში გერმანელმა ფეხბურთელებმა სასტიკად გვაჯობეს და სავარაუდო იყო ქართველ სპორტსმენებს არიელების სინდრომი განუვითარდებოდათ. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა — ქართველებმა რევანში სპორტის ისეთ სახეობაში ავიღეთ, მის განვითარებაზე რომ ქვეყანაში თავს არავინ იკლავს. ლაპარაკია რაგბზე.

ჯერ, 1995-ში ქართველმა ბორჯღალოსნებმა ევროპის ჩემპიონატის საშინაო მატჩში გერმანელები ანგარიშით 14:3 შემუსრეს, ახლა კი, უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, იგივე მოიმოქმედეს ჩვენმა ჭაბუკებმაც, XXX მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ჯგუფში რომ ასპარეზობენ. ეს მეოთხედფინალური შეხვედრა გასულ კვირას საფრანგეთის ქალაქ ტულუზას გარეუბანში შედგა. ჯერ პირველ ტაიმში ერთი ბურთით მეტოქე დაწინაურდა, მაგრამ მეორე ნახევარში კავკასიელებს, თურმე მეორე სუნთქვა გაეხსნათ: ჯერ ლელო რუსთაველმა ავთანდილ პავლიაშვილმა გაიტანა, შემდეგ კი თბილისელმა მალხაზ ურჯუკაშვილმა გარდასახვაც დააყოლა. საბოლოოდ, ჩვენებს, 7:3 მოუგიათ და დღეს ნახევარფინალში ჩეხებს შეეპაექრებიან, რომელთაც პირველ მატჩში ჰოლანდიელები დაუჯაბნიათ.

ჩოგბურთი ● დევისის თასი

გაიმართა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალური მატჩები, როგორც მოსალოდნელი იყო, იტალიელებმა ადვილად სძლიეს ინდოელებს 4:1, გერმანელებმა — სამხრეთაფრიკელებს 5:0. დაძაბულად წარიმართა სლოვაკეთი — შვედეთის (2:3), ბრაზილია — ესპანეთის (2:3) და შვეიცარია — ჩეხეთის (3:2) მატჩები. სენსაციური შედგით დამთავრდა ავსტრალია — ზიმბაბვეს შერკინება, რომელიც მეხუთე კონტინენტის პატარა ქალაქ მალდურაში გაიმართა. აფრიკელებმა 3:2 დაამარცხეს გათამაშების მთავარი ფავორიტი.

II ჯგუფი ● XXI ტური

ასკ (თბ.) — იბერია (სამტრ.) 1-0

ასკ: ჩლაიძე, ფირცხალავა, ლაცაბიძე (გულაშვილი), გველესიანი, თევზაძე, კაპანაძე (მაისურაძე), ცერცვაძე (დობორჯგინიძე), პოზოიანი, ამირიძე, ფანცულაია, ტარიელაშვილი.
იბერია: ლაბაძე, ხელაძე (ხუჭუა), ქობესაშვილი, გეგეშიძე, ს. გოგიაძე (მუმლაძე), თოდუა, ჩომახიძე, ამაშუკელი, ვ. გოგიაძე, იქერიანი (ბაკურაძე), ჰელიძე.
გოლი: მამუკა ფანცულაია (22).
გააფრთხილეს: ფირცხალავა, თევზაძე.
მსაჯი: ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი)

მეორე ჯგუფის ლიდერთა შეხვედრა დაძაბული გამოდგა. პირველივე წუთებიდანვე გუნდები დაზვერვის გარეშე ეკვეთნენ ერთმანეთს. დებიუტშივე შეეძლო სტუმრები დაეწინაურებინა ვასილ გიგიაძეს, რომელმაც არმიელთა მცველებს აართვა ბურთი და მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ თავდამსხმელმა ვერ დაიმორჩილა.

ტაიმის შუაწელში მასპინძლებმა მოიპოვეს ტერიტორიული უპირატესობა, რასაც „იბერიას" კართან რამდენიმე მწვავე შეტევა მოჰყვა. ამირიძემ წამოიწყო თავისი გუნდის მორიგი იერიში — მარცხენა ფრთაზე გვერდი აუარა სტუმართა ორ ფეხბურთელს და უზუსტესი პასით საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილი ფანცულაია მოძებნა, რომელსაც არ გასჭირვებია ახლო მანძილიდან გაეხსნა ანგარიში 1-0.

მეორე ნახევარი სამტრედიელთა უპირატესობით დაიწყო, მაგრამ რეალური საგოლე მომენტები არ შეუქმნიათ. 75-ე წუთზე სრულიად უწყინარ სიტუაციაში შეცდა მასპინძელთა ერთ-ერთი მცველი, რასაც ვასილ გიგიაძის მეკარესთან პირისპირ გასვლა მოჰყვა — აღვენებულ მცველს წესების დარღვევის მეტი არაფერი დარჩენოდა. მსაჯმა სამართლიანად დანიშნა პენალტი, რომელიც ჩომახიძემ ვერ გამოიყენა. დარჩენილ დროში, მიუხედავად სტუმართა დიდი მცდელობისა, ანგარიში არ შეცვლილა.

ირაკლი შენგელია



საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მსოფლიოში აღიარებული ფალავნის, მსოფლიოს სამგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, ლეგენდა პიროვნების

ბიბი კარტოზიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მსოფლიოში სახელგანთქმული ფალავნის, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს სამგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის უბრწყინვალესი პიროვნების და მამულიშვილის

ბიბი კარტოზიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სპორტი – მაღალი მიღწევებისათვის, სპორტი – ყველასათვის!

კარატე-დო საქართველოს პირველი ღია ჩემპიონატი

მწვანე გზა მსოფლიო უნივერსიადისკენ...

კარატე-დო თანამოძმეთაგან პირველი გადის დიდ სპორტულ არენაზე – იგი შეტანილია წლევანდელი მსოფლიო უნივერსიადის პროგრამაში (ივლისი, საფრანგეთი)

ჩვენი კარატისტები (ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ბარამიძე, სტუდენტური კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილაია) მათ შორის იქნებიან, ვინც, როგორც პიონერები, სათავეს დაუდებენ უნივერსიადის ახალ პროგრამას. ამდენად, ყველა მოუთმენლად მოელოდა პირველ სტუდენტურ ღია ჩემპიონატს, სადაც კონკრეტული კანდიდატები უნდა შეერჩიათ სპეციალისტებს. უნდა ითქვას,, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთი ორგანიზატორის როლში თვით საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია (პრეზიდენტი აკადემიკოსი როინ მეტრეველი) მოგვევლინა, საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა კი ყოველმხრივ შეუწყო ხელი ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარებას.

ქვარცხლბეკი:

10-11 წლიანები: 1. ლევან გორელაშვილი (შოტოკანი), 2. გოჩა ლუაშვილი (შოტო-რიუ), 3. ლერი გაბრიჩიძე და შალვა შერმაზანაშვილი (ორივე – შოტოკანი, ოთხივე თბილისელია);

12-13 წლიანები: 1. დავით აბრამიშვილი (შოტოკანი), 2. ირაკლი ტყებუჩავა (შოტო-რიუ , ორივე – თბილისი), 3. იმედო ხურციძე (ვადო-რიუ, ქუთაისი) და ლევან უნდილაშვილი (შოტოკანი, თბილისი);

14-15 წლიანები: 1. გარსევან ადამიანი, 2. ზაქრო გაბეცაძე, 3. გიორგი გოლოშვილი (სამივე – შოტოკანი, სამივე – გორი) და იონა ხუციშვილი (შოტოკანი, თბილისი);

16-17 წლიანები: 1. არჩილ მაყაშვილი, 2. გიორგი ლოცულაშვილი, 3.დავით რომელაშვილი (სამივე – შოტოკანი, სამივე – გორი) და სოსო ხანთაძე (შოტოკანი, ქუთაისი);

70 კგ-მდე: 1. გიორგი ნადირაძე (შოტო-რიუ, თბილისი), 2. ნიკა შარაშენიძე (შოტოკანი, ქუთაისი), 3. ჯონი ბიტკაში (შოტო-რიუ) და დავით კაპანაძე (შოტოკანი, ორივე – თბილისი);

70 კგ-ს ზევით: 1. დავით ყვანია (შოტოკანი, სენაკი), 2. გელა ჯიჭონია (შოტოკანი, თბილისი), 3. გიორგი გაჩეჩილაძე (შოტოკანი, გორი) და გიორგი ყიასაშვილი– (გოჯუ-კაი, თბილისი).

სააგენტო „გუმათე“

დავით ყვანიასა (მარცხნივ) და გელა ჯიჭონაიას ფინალური ორთაბრძოლა

ლევან გორელაშვილი თანატოლებში ჩემპიონი გახდა

გივი კარტოზია



უდიდესი და უმძიმესი დანაკარგი განიცადა ქართულმა სპორტმა, საერთოდ, ჩვენმა საზოგადოებამ, ქვეყანამ, 69 წლისა გარდაიცვალა ქართველი ხალხის უსაყვარლესი ფალავანი და ღირსეული მამულიშვილი გივი კარტოზია.

ამ ადამიანის მთელი ცხოვრება სანიმუშო მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს შენს სამშობლოს, დარგს, რომელსაც შეუძლია ერთი პიროვნების ღვაწლით მსოფლიოს გააცნოს პატარა ერი, მისი რაინდული სული. გივი კარტოზია თავად იყო რაინდი და ასეთი დარჩა უმაწვილკაცობიდან სიცოცხლის ბოლომდე. 16 წლის ბათუმელმა ჭაბუკმა პირველად 1945 წელს შეაბიჯა სპორტულ დარბაზში და მას შემდეგ საჭიდაო ხალიჩა იყო მისთვის თვითდამკვიდრების, უნიკალური პიროვნული შესაძლებლობების რეალიზაციის სარბიელიც. ბედმა მას არაერთი წარმატება არგუნა. ნიშანდობლივია, რომ გივი კარტოზია იყო პირველი ოფიციალური მსოფლიოს ჩემპიონი საქართველოდან და არა მხოლოდ ჭიდაობაში, საერთოდ, ქართულ სპორტში. მისი სპორტული წარმატებების ნუსხა უაღრესად შთამბეჭდავი და ვრცელია – ოქროს მედლები უველა რანგისა და მასშტაბის შეჯიბრებებში – სსრ კავშირის ჩემპიონატებში სტუდენტურ მსოფლიო თამაშებში, ახალგაზრდობის საერთაშორისო თამაშებში; მოპოვებული ჰქონდა მსოფლიოს თახი, იყო მსოფლიოს სამზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და პრიზიორი. იგი გახლდათ სსრ კავშირის ნაკრების უცვლელი კაპიტანი, რაც მისი არა მხოლოდ სპორტული, პიროვნული ღირსებების დახტური და აღიარებაც იყო. გივი კარტოზიამდე სსრ კავშირის სპორტის არც ერთი სახეობის წარმომადგენელი არ გამხდარა სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი – ეს თავისებური რეკორდიც მის სახელთანაა დაკავშირებული.

ქართული საჭიდაო სკოლის ამ ბუმბერაზმა და უდიდესმა ავტორიტეტმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩვენში ჭიდაობის სახეობების პროპაგანდაში, ახალგაზრდა თაობების გატაცებაში საერთოდ სპორტით. გივი კარტოზიამ თავისი მაღალზნეობრიობით, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შტრიხი იყო თავმდაბლობა, ჭიდაობის სამყაროში დაამკვიდრა კაცობის, ადამიანებთან ურთიერთობის, ერთმანეთის თანადგომისა და ურთიერთსიყვარულის პრინციპები. ამ პრინციპებით დიდი ჩემპიონი, დიდი პიროვნება, დიდი კაცი, შეუცვლელ ლიდერად დარჩა. ამ ღირსეული პიროვნების ცხოვრების მაგალითი მომავალშიც მემკვიდრეობით გადავა ათლეტთა თაობიდან თაობებში, ისე როგორც ეს მის სიცოცხლეში იყო.

ქვეყანა არასოდეს დაივიწყებს ასეთ შვილებს, მადლიერი შთამომავლობა მუდამ ღირსეულ პატივს მიაგებს კაცს, რომელიც ჩვენს გვერდით ცხოვრობდა, თავისი ტკივილითაც კი კაცურად გვამხნევებდა, რწმენას გვმატებდა, კაცს, რომელიც სიცოცხლეში ლეგენდად იქცა.

ე. შევარდნაძე, ზ. ყვანია, ნ. ლეკიშვილი, რ. აბაშიძე, ს. ანდიევი, კ. ასათიანი, თ. აფხაზავა, ჯ. ბაგრატიონი, ვ. ბალავაძე, ზ. ბერიაშვილი, გ. ბერიძე, გ. ბლაგიძე, ნ. გაფრინდაშვილი, გ. გედენაური, დ. გობეჯიშვილი, გ. ელოშვილი, ლ. თედიაშვილი, გ. იგუმენოვი, გ. კანკავა, თ. კახდელაკი, ა. კოლესოვი, გ. ლორთქიფანიძე, მ. მამიაშვილი, მ. მაჩაიძე, თ. მაჭავარიანი, დ. მინდიაშვილი, რ. რურუა, მ. სალაძე, გ. სალარაძე, გ. სხირტლაძე, ო.ქორქია, თ. უაზარაშვილი, გ. უგარელაშვილი, რ. შავლაყაძე, ზ. შენგელია, ბ. შოშიტაიშვილი, რ. ჩიმიშკიანი, შ. ჩოჩიშვილი, მ. ცალკალამანიძე, დ. ციმაკურიძე, შ. ხაბარელი, ლ. ხაბელოვი, თ. ხუბულური, ნ. ჯორჯოლია, მ. ჯულელი.

სპორტული ბაზები • ყოფნა, არყოფნა?..

„ლოკომოტივის“ სტადიონი 300 პროცენტითაა დატვირთული

შეუპოვრად დადის ხმები, რომ საქართველოს რკინიგზა უწყებრივი სპორტული ობიექტების გასხვისებას აპირებს. ეს არ დაადასტურა ამ უწყების მთავარი სპორტული სარბიელის თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონის დირექტორმა გივი ჭანტურიძემ.

— პრივატიზაცია ჩემს კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ ერთს მაინც გეტყვით, ჩვენი სტადიონის თაობაზე ასეთი რამ ჭორადაც არ გამიგია — თქვა მან.

● *ბატონო გივი, რა დატვირთვა აქვს სტადიონს ამჟამად?*

— გარდა იმისა, რომ ჩვენთან იმართება ეროვნული ჩემპიონატების მატჩები ფეხბურთსა და რაგბიში, აქვე სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობებს ატარებენ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. შაბათს და კვირას სამთოსათხილამურო სკოლის 400-500 ბავშვი ვარჯიშობს საერთო ფიზიკურ მომზადებაში. გახსნილია მოზარდთა საფეხბურთო სკოლა 200 მოსწავლეზე, მუშაობს გამაჯანსაღებელი ჯგუფები.

ლექსო ბურნაძის ხელმძღვანელობით უამრავი მოქალაქე ვარჯიშობს დამოუკიდებლად. არ გამოგრჩეთ, რკინიგზელი ფეხბურთელები აქაც და დიღმის ბაზაზეც ოსტატდებიან. ნაცვლად 40-50 ღონისძიებისა, წელიწადში 150-250 შეჯიბრებას ვმასპინძლობთ. საფარს ძალიან ვნებს მორაგბეთა და ფეხბურთელთა ვარჯიშები, რაც დებულებით დაუშვებელია. ახალ ბალახს ამოსვლასაც არ აცდიან, ცენტრალურ მინდორზე 23 დღე ივარჯიშეს ჩვენმა ფეხბურთელებმა და საფარის განახლების შრომა წუალში ჩაიყარა.

ბაზის ასეთ დატვირთვას ხომ შესაბამისი პირობები ესაჭიროება...

— პირობები, ცხადია, არასახარბიელოა, მით უფრო, რომ სტადიონზე რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. ფეხბურთელებს აქვთ გასახდელი და ცივი წუალი. რკინიგზის ხელმძღვანელობა გეგმავს ახალი გასახდელებისა და საშხაპეების მოწუობას, აღდგება სათადარიგო მოედანი, ძირითადი არენა კი კეთილმოეწუობა.

ნაზი მაისაშვილი



ზარი • «ლელო» №16 • 1998 წ. გამოძახილი

მცხეთაში ფინალების დრო დადგა

მცხეთაში დასასრულს უახლოვდება „მხიარული სტარტების“ პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები, რომელიც რაიონის განათლების განყოფილების (გამგე უშანგი ხარშილაძე) ინიციატივით ტარდება და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა და პედკოლექტივების უდიდესი დაინტერესება გამოიწვია. უკვე გამოვლინდნენ გუნდები, რომლებიც ჩემპიონებისა და საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ. პირველობას ერთმანეთს შეეცილებიან მცხეთელები (№1 სკოლა) და ქსანელები, მესამე ადგილისთვის კი ძეგვები და წეროვნელები იბრძოლებენ. მანამდე ძეგვის „იმედი“ მცხეთელებს („ტიტანი“) შეხვდა. თავიდან დაწინაურდა კიდეც, მაგრამ მცხეთელები კალათბურთის ფარზე ფიზაღზრდის მასწავლებლის მურმან ჭამაცაშვილის ზუსტმა ტყორცნებმა იხსნა და შეხვედრაც „ტიტანმა“ მოიგო – 23:21 (სკოლის დირექტორის მოადგილე ვერიკო მაჩწანელი). მეორე ნახევარფინალში ქსანელებმა (დირექტორი გურამ გამდლიშვილი, მასწავლებელი ვანო ფარჯიანი) ჩინებული მომზადება გამოავლინეს და 22:20 გაიმარჯვეს წეროვნელებთან (ჯამბულ კუპატაძე, თემურ თვაური) პაექრობაში. ამ შეხვედრაში მართლაც რომ სამხიარულო ამბავი მოხდა: ქსანელ ეკა ლოჩიშვილს დვირზე ტომრით პაექრობაში „იარაღი“ ხელიდან გაუვარდა, მაგრამ არ დაიბნა – სწვდა მეტოქეს, წაართვა ტომარა, მაგრადაც შემოუქნია და განაიარაღებული ძირს ჩამოაგდო.

ფინალური ორთაბრძოლები შაბათს გაიმართება.

„ლელოს“ კორ., მცხეთა

შეჯიბრების მონაწილენი ლამაზადაც უნდა გამოიყურებოდნენ



„ტიტანი“ გულშემატკივრების მხარდაჭერამაც გაიყვანა ფინალში

დებიუტანტი



მანუჩარ იმვარდავა

(ფეხბურთი)

დაიბადა 1982 წლის 23 ივლისს ზუგდიდში
წონა – 69 კგ., სიმაღლე – 182 სმ.
ზუგდიდის რაიონი, ზედაწერის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.
ფეხბურთის თამაში დაიწყო თორმეტი წლისამ, მეკარეა.
პირველი მწვრთნელი – ოთარი თუთბერიძე.
საფეხბურთო კლუბ „ოდიშის“ წევრი
ზუგდიდის 1997 წლის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის.

„ლელო“ დაიბარუნა საქართველოს სპორტულმა სამყარომ – დაიბარუნეთ თქვენც!
გამოიწერეთ ლ*

საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი XXI ტური

ასე სტუდენტები ვერაფერს გახდებიან

თსუ – გურია (ლანჩხუთი) 0-0

თსუ: **დოლიძე, ყოლბაია, ხარებავა, კობიაშვილი, გვაზავა, შალამბერიძე, გემეზაშვილი, ქორიძე (ცხადაძე, 66), მაზიაშვილი, მელქაძე, როსტიაშვილი.**

გურია: **ვარდანიძე, ღურწკაია, კ. კვეკვესკირი, ზ. კვეკვესკირი, ფაცურია (ხოსროშვილი, 61). ქიქავა, თიბილაშვილი, ბუკია (ბერიძე, 56), ბულუხია, განევი, ჩხეტია (ჯაშიაშვილი, 81)**

გააფრთხილეს: **ბულუხია**

მსაჯი: **თ. მაჭარაძე (ხონი)**

თამაშამდე ალბათ, ცოტას თუ აეპუებოდა მასპინძელთა გამარჯვება, რადგან მათ, ასე თუ ისე, კიდევ აქვთ შანსები ევროპული კარის შესაღებად, ხოლო ლანჩხუთელები ცალი ფეხით უკვე მეორე ჯგუფში არიან. პროგნოზები არ გამართლდა — გურიამ სრულიად დამსახურებულად მოიპოვა ქულა.

შეხვედრის დასაწყისშივე გამოიკვეთა სტუდენტების უპირატესობა. ბურთს ფაქტიურად სულ ისინი ფლობდნენ, მაგრამ რეალური საგოლე მომენტი ვერ შექმნეს. დროდადრო სტუმრებიც გადადიოდნენ სწრაფ კონტრშეტევებზე. 22-ე წუთზე განევი წამით ვერ მისწვდა ფაცურიას მიერ მარცხნიდან ჩაწოდებულ პასს, თორემ გოლი გარდუვალი იქნებოდა. ეს იყო მთელი პირველი ნახევრის ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი. თსუ-ს ასეთი ინერტული თამაში მართლაც გაოცებას იწვევდა. იქნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს იგი არც იყო მინდორზე მოსაგებად გამოსული.

მეორე ტაიმიც ასეთივე უინტერესო გამოდგა: მეკარეები დოლიძეცა და ვარდანიძეც უსაქმოდ იყვნენ, რადგან კარში ზუსტი დარტყმა არ ყოფილა. აღსანიშნავია სტუდენტთა გულშემატკივრების დიდი მხარდაჭერა, მაგრამ ვერც მათმა შეძახილებმა ვერ აამოძრავეს გუნდი. მისი შეტევები მხოლოდ ფლანგებიდან ჩაწოდებებით შემოიფარგლებოდა. შეხვედრის ბოლო წუთებზე მეტოქეები ოდნავ გამოფხიზლდნენ. სატურნირო ცხრილს თუ გადავხედავთ, ადგილი მისახვედრი იქნება, რომ სამი ქულა ორივე გუნდს ჰაერივით ესაჭიროებოდა. 87-ე წუთზე ქიქავამ კარგი პასი შესთავაზა ბულუხიას, რომელიც პირისპირ გადიოდა მასპინძელთა მეკარე დოლიძესთან, მაგრამ გურიას თავდამსხმელს სისწრაფე არ ეყო, რითაც ისარგებლა ცხადაძემ და ფეხებში ვარდნით განმუხტა სიტუაცია.

ასე დასრულდა ეს უღიმღამო მატჩი. როგორც ჩანს, „გურია“ ჯგუფის ღონეს ხმარობს ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად. რაც არ უნდა იყოს, ასეთი ტრადიციების გუნდისთვის სირცხვილი იქნება გავარდნა. თსუ-ს თამაშმა კი ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქოს იგი შეეგუა მეექვსე ადგილს და მაღალი ადგილებისთვის ბრძოლის ამბიცია არ გააჩნია.

ილია ნანობაშვილი

„დინამოდან“ ერთი წავიდა, ორიც – ტრანსფერზეა

თბილისის „დინამოს“ პრესსამსახურში შევიტყვეთ, რომ მცველი გიორგი დავითნიძე ამიერიდან გუნდს აღარ ეკუთვნის — მას განთავისუფლების ცნობა მიეცა. გარდა ამისა, ბოლო პრესკონფერენციაზე „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის დავით ყიფიანის განცხადებით, გასაყიდ მოთამაშეთა სიაში შეუვანილია ორი ალეკო — მცველები გელაძე და გოგობერიშვილი.

მოარული ხმებით, დავითნიძე თავის საფეხბურთო კარიერას „მერანში“, ხოლო გელაძე — სოჭის „უემჩიუნაში“ გააგრძელებს.

კვირას ჟურნალისტებს არ დაუსვენიათ

რა ვქნათ, რა ვიღონოთ, როგორ ვუშველოთ ქართულ ფეხბურთს – აი, ის საკითხები, რომელზეც 5 აპრილს ჟურნალისტთა სახლში შეკრებილმა 50-მდე სპორტულმა ჟურნალისტმა იმსჯელა. უმრავლესობის აზრით, მდგომარეობა მეტად კრიტიკულია და კარდინალური გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო. უახლოეს დღეებში პრესაში დაიბეჭდება სპორტული ჟურნალისტების მიმართვა საზოგადოებრიობისადმი, რომელშიც აისახება ის ძირითადი პრობლემები, რომელთა დაძლევაც ხელს შეუწყობს ქართული ფეხბურთის კრიზისიდან გამოსვლას.

„ლელო“ — „გუმათე“

სტატისტიკის მოყვარულთათვის

სიონი (ბოლნისი) – ლოკომოტივი (თბილისი) 0-2

სიონი: დალაქიშვილი, გ. ჩომახიძე, კ. წიკლაური, უიფშიძე (თვალაბეიშვილი), გოგოლაძე, მ. სამხარაძე, ტარტარაშვილი (მეტრეველი), ჯ. წიკლაური (ფოფხაძე) ტუავაძე, ჯაგიდისი, გაგუა.

ლოკომოტივი: ვოლკოვი, ამბაძე, ერაძე (ხუციშვილი), ბარნოვი, ზ. არჩვაძე, ქვარცხავა, გ. კვეტენაძე, უაველაშვილი (ზამთარაძე), კოტორაშვილი, გოდერძიშვილი, დათუაძე (ქველაძე).

გოლები: ერაძე (28), ზამთარაძე (88)

გააფრთხილეს: ერაძე, ჯაგიდისი, უაველაშვილი

მსაჯი: ელგუჯა სილაგავა (თბილისი)

უნივერსიტეტი (თბილისი) – გურია (ლანჩხუთი) 0-0

თსუ: დოლიძე, ყოლბაია, ხარებავა, კობიაშვილი, გ. გვაზავა, შალამბერიძე, გემეზაშვილი, ქორიძე (ცხადაძე, მაზიაშვილი, მელქაძე, როსტიაშვილი.

გურია: ვარდანიძე, ღურწკაია, კ. კვეკვესკირი, ზ. კვეკვესკირი, ფაცურია (ხოსროშვილი), თიბილაშვილი, ქიქავა, განევი, ჩხეტია (ჯაშიაშვილი), ბუკია (ჯ. ბერიძე), ბულუხია

გააფრთხილეს: ბულუხია

მსაჯი: თემურ მაჭარაძე (ხონი)

დინამო (ბათუმი) – სამგურალი (წყალტუბო) 7-1

დინამო: ტოგონიძე, ი. მახარაძე (ჭიჭვეიშვილი), მინდაძე, სიჭინავა (სიამაშვილი), გ. შეყილაძე, თორღაშვილი (კობიძე), მ. მახარაძე, სოლოღაშვილი, მაჭუტაძე, ღლონტი, ზირაქიშვილი.

სამგურალი: ბობოხიძე, ფრანგიშვილი, გ. თევზაძე, ჯავახაძე, ჭელიძე, ძაგნიძე, ზ. ქუთათელაძე, ფხაკაძე (მანაგაძე), დარსაძე (ხაჭაპურიძე), მოსიკაშვილი, კ. ჯანაშია (თევდორაძე).

გოლები: 1-0 მაჭუტაძე (11), 2-0 ი. მახარაძე (28), 3-0 მაჭუტაძე (35), 4-0 მინდაძე (46), 5-0 შეყილაძე (55), 5-1 თევდორაძე (70), 6-1 ზირაქიშვილი (74), 7-1 ზირაქიშვილი (79)

მსაჯი: სოსო კახიანი (თბილისი)

კოლხეთი-1913 (ფოთი) – ვიტ-ჯორჯია (თბილისი)

კოლხეთი: ქვაჩახია, მიქაბერიძე, ჯღამაძე, გიორგაძე, გოროზია, გიორგობიანი, ნოზაძე, სუხიაშვილი, ე. გვასალია, წივწივაძე (ღაღანიძე), ქუტიძე.

ვიტ-ჯორჯია: ჯანელიძე, ილურიძე, მაისურაძე, ჭოხონელიძე, მ. ბურდული, დვალიშვილი, ქუთათელაძე (რუხაძე), ნადირაძე (გუგუშვილი), გოჩაშვილი, ჭუმბურიძე, ალავიძე (ს. არჩვაძე).

გოლი: მიქაბერიძე (9)

გააფრთხილეს: ქუტიძე, ჭოხონელიძე

მსაჯი: ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

მეორე ჯგუფი ● XX ტური

იმერეთი (ხონი) — სქური (წალენჯიხა) 1-0, თორი (ბორჯომი) — საბოვნელა (თერჯოლა) 0-0, ფაზისი (ფოთი) — კოლხეთი (ხობი) 3-3, იბერია (ქარელი) — შსს აკადემია 1-0, კოდაკო (თბილისი) — ასკ (თბილისი) 0-1, იბერია (სამტრედია) — მერცხალი (ოზურგეთი) 3-0, ივერია (ხაშური) — ცხინვალი 2-0, სამეგრელო (ჩხოროწყუ) — მეშახტე (ტყიბული) 4-1.

გათამაშების ცხრილი XX ტურის შემდეგ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ასკ	20	18	2	0	70–12	56
იბერია (ს)	20	14	4	2	46–15	46
ივერია	20	13	3	4	51–21	42
კოლხეთი	20	13	3	4	49–31	42
ცხინვალი	20	11	2	7	48–26	35
შსს აკადემია	20	11	4	5	51–21	32
მერცხალი	20	10	1	9	33–33	31
სქური	20	9	2	9	30–42	29
თორი	20	8	4	8	36–36	28
ფაზისი	20	8	2	10	36–39	26
მეშახტე	20	7	2	11	34–32	23
სამეგრელო	20	6	3	11	27–46	21
კოდაკო	20	4	2	14	16–43	14
იმერეთი	20	3	1	16	22–76	10
იბერია (ქ)	20	4	2	14	22–49	9
საბოვნელა	20	2	1	17	21–66	7

შენიშვნა: შსს აკადემიას და იბერიას (ქ.) დაკლებული აქვთ 5-5 ქულა.

განვლილმა ტურმა განსაკუთრებული მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა: დაწინაურებულმა გუნდებმა ჩამორჩენილებს მორიგი ქულები აართვეს. ლიდერთა ოთხეული უკვე კარგა ხანია გამოიკვეთა, თუმცა თეორიული შანსებე მეოთხე ადგილზე გასასვლელად აქვთ ცხინვალელებს – როგორც ცნობილია, ეს საფეხური პირველი ჯგუფის საბაზურის მოპოვების შანსს მაინც იძლევა (გადათამაშებით).

ციტატა

„თასების თასზე ნახევარფინალურ თამაშში „შტუტგარტსა“ და „ლოკომოტივს“ შორის მილანის სცენარი პრაქტიკულად ზედმიწევნით განმეორდა (იგულისხმება მილანში ადგილობრივი „იუვენტუსისა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ მატჩი, როცა მასპინძლებმა „გაწელილ“ დროში გაიტანეს გადამწყვეტი გოლი – რედ.); ოღონდ იმ განსხვავებით, რომ „ორთქლმავალმა“, როგორც მოფერებით ეძახიან საფეხბურთო კულუარებში იური სემინის გუნდს, პირველმა შეაგდო ბურთი. ეს ზაზა ჯანაშიამ გააკეთა, უნდა ითქვას, საუკეთესომ ლოკომოტიველთა შორის და იგივე ფირმული კულბიტიც შეასრულა – ა-ლა უგო სანჩესი...“ („მოსკოვსკი კომსომოლეცი“).

„რუსეთელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, დაიწყეს მეტოქეთა მეკარის შეწუხება და, აი, კანონზომიერი შედეგიც: ჯანაშიამ მშვენივრად დაარტყა კარში, ასე, 17 მეტრიდან, გოლკიპერმა კი ვერაფერი გააწყო – მოსკოველები დაწინაურდნენ“ („სოვეტსკი სპორტი“).

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

აველანჟი დიპლომატის როლში

ფიფას პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალზე, რომელიც 10 ივნისს „სტად დე ფრანსზე“ გაიმართება, მიიწვია ორივე კორეული სახელმწიფოს ხელმძღვანელები — კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი კიმ ჩენ ირი და სამხრეთ კორეის პრემიერ-მინისტრი კიმ და იუნლი. აველანჟის განაცხადა, რომ ამ კეთილი ნების ჟესტით ცდილობს შეარიგოს ორი არც ისე კეთილადგანწყობილი სახელმწიფოების მეთაურები. იგი არ გამორიცხავს ვარიანტს, რომ ჩრდილოკორეა დაეხმარება სამხრეთელ მეზობელს, აგრეთვე იაპონიასაც, როცა ეს ორი ქვეყანა ერთობლივად ჩაატარებს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატს.

ნიგერიელებთან თამაშს გაურბიან

ჰოლანდიის მთავრობამ, იმის მიუხედავად, რომ ევროკავშირმა ნიგერიის წინააღმდეგ სანქციები გამოიჯინა, მაინც დართო ნება ამ ქვეყნის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის ჩატარების შესახებ მას შემდეგ, რაც მთელი დისკუსია გაჩაღდა ჰოლანდიის ფეხბურთის ასოციაციასთან, სპორტის მინისტრმა ჭალბატონმა ერიკა ტერსტრამ განაცხადა, რომ მატჩი შეიძლება 5 ივნისს გაიმართოს, მაგრამ ეროვნული ჰიმნები არ შესრულდება. ამავე დროს ნიგერიის ოფიციალური პირებს არ მისცემენ ჰოლანდიაში ჩასასვლელ ვიზებს. ევროკავშირი ნიგერიის მიმართ სანქციებს იმის გამო იყენებს, რომ ამ ქვეყანაში ირღვევა ადამიანის უფლებები. თუმცა ახლა მატჩის აკრძალვა უკვე გვიანდაა, რადგან ხელშეკრულება მისი გამართვის შესახებ ჯერ კიდევ სანქციების შემოღებამდე დაიდო.

ავსტრია კი, გერმანია არა

მიუნხენის „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების ყოფილი ლიბერო, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი კლაუს აუგენტალერი ფეხბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგ მთავარი მწვრთნელის (ხან ვისი და ხან ვისი) ასისტენტად მუშაობდა რამდენიმე სეზონი მშობლიურ ბავარიულ კლუბში.

კლაუს აუგენტალერი

კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ ავსტრიაში გადაბარგდა და იქაური „გრაცერის“ მთავარი მწვრთნელი გახდა. დღეს-დღეობით კი ეს გუნდი ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილზეა, რაც პირველ რიგში კლაუსის დამსახურებაა, რომელსაც უკვე ბუნდესლიგის რამდენიმე კლუბი უპირებს გადმობირებას. მაგრამ აუგენტალერი ჯერჯერობით ყველა მოწვევას უარობს. თვლის, რომ სამშობლოში მის მიმართ გაცილებით პრეტენზიულნი იქნებიან ვიდრე ავსტრიაში და ბუნდესლიგაში წინა პლანზე ყოფნა მისთვის ჯერაც ადრეა.

როგორ უნდა ითამაშო „ინგბერთან“?

ამას წინათ „მილანისა“ და საფრანგეთის ნაკრების მცველ მარსელ დესაიის ჰკითხეს: როგორ უნდა ითამაშო „ინტერთან“? აი საინტერესო პასუხი.

— „ინტერი“ პიროვნებების, ინდივიდუალური ღირსებების მქონე ფეხბურთელების გუნდია, მაგრამ კოლექტიურ თამაშში მოიკოჭლებს. დიახ, ამ გუნდში თამაშობენ ჯორკაეფი, რონალდო, სიმეონე, ვინტერი, კანუ, ვუსტი, მაგრამ მათ ახლოს, მჭიდროდ უნდა ეთამაშო, მოქმედებას თავისუფლება არ უნდა მისცე.

● *როგორ ფიქრობთ, ვინ გახდება იტალიის ჩემპიონი?*

— ან ჩემპიონატის უძლიერესი კლუბი „იუვენტუსი“, ანდა, მტკიცე „ლაციო“. ვგრძნობ, „ინტერი“ სკუდეტოს ვერ მოიპოვებს. იგი ძალიან სუსტია კოლექტიურ მოქმედებაში.

● *რას იტყვით საფრანგეთის ნაკრებზე?*

— ძალიან მიყვარს ჩვენი ეროვნული ნაკრები. იმის მიუხედავად, რომ მოსკოვში დავმარცხდით, მაინც ძლიერები ვართ და მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებას ვაპირებთ. რა თქმა უნდა, იქ შეიძლება ისეთ ნაკრებსაც კი გაუმართლოს, როგორიც აშშ-ს გუნდია, მაგრამ საკითხი, ვინ არის მსოფლიოში უძლიერესი საუკუნის მიწურულში, გადაწყდება ფრანგების, ბრაზილიელების, არგენტინელების, გერმანელებისა და იტალიელების „კამათში“. იმედი მაქვს, საკუთარი კედლების ფაქტორიც დაგვეხმარება. იცით, ძალიან მინდა ჩვენმა პრეზიდენტმა ეკა შირაკმა მტკიცე ხელი ჩამომართვას. ამისათვის კი გამარჯვებაა საჭირო.

„ბეპეს“ იმედი აქვს

„იუვენტუსის“ ახალგაზრდა თავდამსხმელ „ბეპე“ ფილიპო ინძაგის იმედი აქვს, რომ ჩეზარე მალდინის იგი არ დაავიწყდება და აუცილებლად მიიწვევს ნაკრებში. მით უმეტეს, რომ იგი ახლა როგორც იტალიის პირველობაზე, ისე ჩემპიონთა თასზეც ჩინებულად თამაშობს.

— მართალია, მსოფლიო ჩემპიონატამდე ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ მასზე ყოველდღიურად ვფიქრობ. დიდი ხანია ვიცნობ ჩეზარე მალდინის და, ვფიქრობ, დიდი პრობლემები არ უნდა შემექმნას. თუკი ასე გავაგრძელე, „სკუადრა აძურას“ ძირითად შემადგენლობაში უნდა მოვხვდე.

ახლა თვლიან, რომ ნაკრებში სულ ერთი თავისუფალი ადგილია დარჩენილი და აქ ენრიკო კიეზასთან („პარმა“) შედარებით ინძაგის უნდა მოიპოვოს უპირატესობა.

პროსინეჩკი აღარსად ნავა

სად აღარ ითამაშა რობერტ პროსინეჩკის, ხორვატიის ნაკრების წამყვანმა ნახევარმცველმა! იყო მადრიდის „რეალში“, „ბარსელონაში“, სხვა ესპანურ კლუბებშიც, მაგრამ ახლა სწორედ სამშობლოში აპირებს დაასრულოს საფეხბურთო კარიერა. ახლა მას ოთხწლიანი კონტრაქტი აქვს ზაგრების „ჰროაციასთან“ (ყოფილ „დინამოსთან“).

— ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ სამშობლოს აღარ დავტოვებ. ჩემთვის ფული მთავარი არ არის.

„ჰროაციაში“ პროსინეჩკი „სევილიიდან“ დაბრუნდა. ახლა მას სხვადასხვა კლუბი იწვევს, მათ შორის „ნიუკასლიც“, მაგრამ მორჩა — იგი აღარსად წავა.

კამერუნელთა ახალი (და ძველი) მწვრთნელი

კამერუნის ნაკრებს სათავეში ჩაუდგა კლოდ ლე რუა, რომელიც აქამდე „პარი სენ-ჟერმენის“ სპორტულ დირექტორად მუშაობდა.

კამერუნელთა ადრინდელი მწვრთნელი ჟან ონგენე ამას წინათ გაანთავისუფლეს ნაკრების აფრიკის თასზე სუსტი გამოსვლის გამო, რაც შეეხება კლოდ ლე რუას, იგი 10 წლის წინათ მუშაობდა კამერუნის ნაკრების მწვრთნელად — 1988 წელს მისი ხელმძღვანელობით გუნდი აფრიკის ჩემპიონი გახდა.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები

FRANCE 98
COUPE DU MONDE

ინგლისი

ჰოდლმა ვენეიბლსის ხაზი გააგრძელა

რა თქმა უნდა, ინგლისური ფეხბურთის საერთო ავტორიტეტისა და აქ ქვეყნის ნაკრების მიერ მსოფლიო პირველობებზე მოპოვებული წარმატებების ერთმანეთთან შე-



გლენ ჰოდლი

დარება შეუძლებელია. ეს უკანასკნელი ნაკლებია და არ არის ისეთი, ფეხბურთის სამშობლოს რომ ეკადრება. ამის მიუხედავად, ვთქვათ ისიც, რომ ინგლისელები 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ, 1990 წელს კი იტალიაში მეოთხე ადგილზე გავიდნენ.

მას შემდეგ, რაც ინგლისელები მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატში საერთოდ ვერ მოხვდნენ, მათ ფეხბურთის დაკარგული ავტორიტეტი 1996 წელს აღუდგინა გამოჩენილმა სპეციალისტმა ტერი ვენეიბლსმა, რომელმაც ევროპის პირველობაზე ნაკრები ნახევარფინალამდე მიიყვანა. ამის შემდეგ ვენეიბლსმა ნაკრებთან კონტრაქტი აღარ გააგრძელა. მის ნაცვლად კი ახლო წარსულში კარგად ცნობილი ფეხბურთელი, ახლა კი ახალგაზრდა მწვრთნელი გლენ ჰოდლი მოიწვიეს. ცხადია ახალ მწვრთნელს, უპირველეს ყოვლისა, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში გამარჯვება ევალებოდა. ასეთი გარანტიის გარეშე ინგლისის ნაკრებში ვერავინ იმუშავებს.

ჩვენი გულშემატკივრები ყველაზე კარგად სწორედ ამ, მსოფლიო პირველობის მეორე ევროპულ ჯგუფს იცნობენ. ამიტომ ინგლისელების მიერ ჩატარებული მატჩების მოკლე გახსენებით დავკმაყოფილდეთ.

პირველი შეხვედრა ინგლისელებმა კიშინიოვში ჩაატარეს მოლდავეთის ნაკრებთან და იოლად მოიგეს ანგარიშით 3-0. გოლები გაიტანეს ნიკ ბარმბიმ („მიდლსბრო“, 1974), განთქმულმა პოლ გასქოინმა („გლაზგო რეინჯერსი“ 1967) და სნაიპერმა ალან შირერმა (იმ დროს „ბლეკბერნ როვერსში“ თამაშობდა, 1970). გაცილებით უფრო ძნელი გამოდგა მატჩი ლონდონში პოლონელებთან, რომლებთანაც თამაში ინგლისელებს ადრეც არ გამოუდიოდათ. მათ მაინც გაიმარჯვეს ანგარიშით 2-1 შირერის მიერ გატანილი ორი გოლის წყალობით. შემდეგი მატჩი თბილისელებს კარგად ახსოვთ. ინგლისელებმა გაიმარჯვეს ჩვენს დედაქალაქში – 2-0. გოლები გაიტანეს ტედი შერინგემმა (რომელიც მაშინ ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურში“ გამოდიოდა, 1966) და ლეს ფერდინანდმა (იმ დროს „ნიუკასლ იუნაიტედის“ მოთამაშე 1966). ასე იყო თუ ისე, იმ დროს ინგლისელების საქმეები კარგად იყო, მათ ხომ სამი თამაშიდან 9 ქულა ჰქონდათ, მთავარმა მეტოქეებმა, იტალიელებმა კი ორი გამარჯვება იზეიმეს.

და აი ფინალში გასვლის პრეტენდენტებს, ამის შემდეგ უკვე ლონდონში მოუხდათ შეხვედრა. ამ მატჩს „უემბლიზე“ 75.100 მაყურებელი ესწრებოდა. აქ ერთმანეთს ბევრი რამ დაუპირისპირდა: ეროვნული ფეხბურთის პრესტიჟი, ახლად დანიშნული მწვრთნელების ამბიციები (იტალიის ნაკრებს რომ ჩეზარე მალდინი ჩაუდგა სათავეში), ორივე ნაკრების დიდი სახელი და ქულათა მაქსიმუმი, რომელიც მათ ამ მომენტისათვის სატურნირო ცხრილში ჰქონდათ. ერთი სიტყვით, ასეთი შინაარსის მატჩი მთელ სეზონში შეიძლება სულ რამდენიმე იყოს. გავიხსენოთ გუნდების შემადგენლობებიც – ***ინგლისი;*** ი. უოკერი, ჰ. ნევილი, პირსი, ინსი, კემპბელი, ლესო, ბეკჰემი, ბეტი (ი. რაიტი, 87), შირერი, ლე ტისიე (ფერდინანდი, 61), მაკმანამანი (მერსონი, 76). ***იტალია:*** პერუცი, ფერარა, მალდინი, დ. ბაჯო, კოსტაკურტა, კანავარო, დი ლივიო, დი მატეო, კაზირაგი (რავანელი, 76), ალბერტინი, ძოლა (ფუზერი, 90). აქ ინტერესს ისიც ამძაფრებდა, რომ უკვე 20 წელია ინგლისელები ვერაფერს აკლებდნენ იტალიელებს, წააგეს მასთან გადამწყვეტი მატჩი მესამე ადგილისათვის მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატში, უკანასკნელად მხოლოდ 1978 წლის მსოფლიო პრველობის შესარჩევ ციკლში მოუგეს და თანაც ისეთ პირობებში, როდესაც შესარჩევ ჯგუფში მაინც არაფერი იცვლებოდა – არგენტინაში იტალიელები მიემგზავრებოდნენ. ახლა კი ცოტა სხვანაირი სიტუაცია იყო. ახალი ნაკრები, რომელიც ტერი ვენეიბლსმა შექმნა და მუშაობა გლენ ჰოდლმა გააგრძელა, ფეხბურთის სამყარომ აღიარა, ინგლისურ ფეხბურთში ახალი ნიჭიერი თაობა მოვიდა. ამავე დროს ითვლებოდა, რომ იტალიური ფეხბურთი არიგო საკის მმართველობის ბოლო პერიოდში გარკვეულ კრიზისს განიცდიდა. უნდა ითქვას, რომ ამ უაღრესად მძაფრ მატჩში, სადაც უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა, გამარჯვება ჯანფრანკო ძოლას მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით მაინც სტუმრებმა მოიპოვეს. ამის მიუხედავად მატჩის შემდეგ გლენ ჰოდლი მაინც არ გამოიყურებოდა დაბნეულად „ეს მარცხია, ტრაგედიად ნუ მივიჩნევთ. წინ კიდევ გრძელი გზაა. ჩვენ არ დაგვიკარგავს მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის შესაძლებლობები, ოპტიმიზმსაც ნუ დავკარგავთ. ახლა ჩვენ ქართველებთან მომდევნო მატჩზე უნდა ვიფიქროთ. შემდეგ კი ვნახოთ, როგორი იქნება სიტუაცია რომში გამგზავრების წინ“.

და მართლაც ინგლისელებმა მალე შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება. მათ 30 აპრილს ლონდონში დაამარცხეს საქართველოს ნაკრები – 2-0 (შერინგემი, შირერი), რომლის თამაშმა ინგლისელ მიმომხილველებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ხოლო 31 მაისს კი ხოჟუვში მოუგეს პოლონელებს – 2-0 (კვლავ შირერი და შერინგემი). ამის შემდეგ ნაკრებმა 6 თამაშიდან 15 ქულა მოაგროვა. იტალიელებს ამ მომენტისათვის ამდენივე თამაშიდან 16 ქულა ჰქონდათ.

აი ასეთ ვითარებაში ინგლისელებს კვლავ მოუხდათ იტალიელებთან დაპირისპირება, თუმცა ამხანაგურ, მაგრამ მეტად პრინციპულ შეჯიბრებაში. ეს გახლდათ ოთხთა ტურნირი –„ტურნუა დე ფრანსი“ ბრაზილიის, საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის ნაკრებების მონაწილეობით. ასეთი შემადგენლობის შეჯიბრება ხომ ფეხბურთის ისტორიაში თითებზე ჩამოითვლება. აქ გლენ ჰოდლმა რამდენიმე ახალი მოთამაშე წაიყვანა და აჩვენა, რომ მან ნაკრებში მართლაც ბევრი რამ გააკეთა. ჯერ ერთი, მან ამდენი ხნის წარუმატებელი მატჩების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, მაინც გატეხა „იტალიური ნავსი“ – „სკუადრა აძურა“ დაამარცხა – 2-0 (ი. რაიტი, სკოულზი). მომდევნო მატჩი ფრანგებთან ასევე გამარჯვებით დასრულდა – 1-0 (შირერი) და უკანასკნელი, მესამე შეხვედრის ბრაზილიელებთან წაგების – 0-1 მიუხედავად ინგლისელები 6 ქულით მაინც პირველ ადგილზე გავიდნენ. ეს დიდი სპორტული წარმატება იყო, გამამხნევებელი მორიგი შეჯიბრებების წინ. აი, რა ენერა ამ ტურნირის შემდეგ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ მიმოხილვაში: „ინგლისელები შეიძლება კმაყოფილნი იყვნენ. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ერთი წელი უქმად არ დაუკარგავთ. წინანდელ მწვრთნელ ტერი ვენეიბლსის ხელმძღვანელობით მათ თამაში კონტინენტურ სტილს დაუახლოვეს, რომელიც ბურთის ხანგრძლივად ფლობასა და მრავალსვლიან კომბინაციებს ემყარება, უარი თქვეს ტრადიციულ, გაუთავებელ და უმისამართო მაღალ გადაცემებზე, დაიწყეს მოკლე და საშუალო გადაცემები. გლენ ჰოდლის ნაკრები ამავე მიმართულებით მოქმედებს: ყველა ხაზის გონივრულად აწყობა, არაბრიტანული ტექნიკის (და რაც მთავარია, არაბრიტანული აზროვნება), რაც ბევრ ფეხბურთელს აქვს, საშუალებას იძლევა ნებისმიერ მეტოქესთან შეხვედრაში დაეუფლოს ინიციატივას“.

შემოდგომაზე ინგლისელებმა წარმატებით დაასრულეს თამაში შესარჩევ ტურნირში. მათ იოლად სძლიეს მოლდოველებს – 4-0 (სკოულზი, ი. რაიტი – 2, გასქოინი). ამასობაში კი გლენ ჰოდლის ნაკრებს დახმარების ხელი გაუწოდა საქართველოს ნაკრებმა. თბილისში იტალიელებმა ვერ მიაღწიეს წარმატებას – 0-0 და ინგლისელებს ერთი ქულით ჩამორჩნენ. ამის შემდეგ მათ პირველი ადგილის დაკავებისათვის ინგლისელები შინ აუცილებლად უნდა დაემარცხებინათ.



ალან შირერი

ვერც ეს მოახერხეს – 0-0 და ამრიგად ინგლისელები 19 ქულით (ბურთები 15-2) პირველ ადგილზე გავიდნენ, იტალიელებს კი უკვე დამატებითი შეხვედრების წარმართვა მოელოდათ. ვთქვათ ისიც, რომ, შესარჩევი ტურნირის საუკეთესო სნაიპერი ალან შირერი გახდა, რომელმაც 5 გოლი გაიტანა, ტედ შერინგემი კი 3 გოლის ავტორი იყო.

ერთი სიტყვით, ჰოდლმა შეასრულა დაპირება, გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა. ახლა უკვე საჭირო იყო ამ გადამწყვეტი შეჯიბრებებისთვის ღირსეული მომზადება. ამ მიზნით არაერთი ამხანაგური მატჩი დაიგეგმა.

ფინალისადმი მზადება ინგლისელებმა ფაქტობრივად დაიწყეს 15 ნოემბერს „უემბლიზე“ კიდევ ერთ ფინალისტთან, კამერუნის „მოუთვინიერებელ ლომებთან“ შეხვედრით. გადავხედოთ ინგლისელთა შემადგენლობას: მარტინი (კიდევ ერთი მეკარე სიმენსა, ფლაუერსსა და უოკერთან ერთად), ფ. ნევილი, კემპბელი, საუთგეიტი (რ. ფერდინანდი, 39), ჰინჩკლიფი, ბეკჰემი, ინსი, გასქოინი (ლი, 73), მანმანამანი, სკოულზი (სატონი, 79), ფაულერი. რა თქმა უნდა, მწვრთნელმა, როგორც წესი და რიგია, საკუთარ თავს ერთგვარი ექსპერიმენტების საშუალება მისცა, მაგრამ ტონს მაინც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაკრების ვეტერანები იძლეოდნენ. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ სკოულზი აღიარეს, თუმცა ეს მისთვისაც კი გარკვეული მოულოდნელობა იყო. ეტყობა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი უფრო ვაჟკაცური, შემართებული თამაშის გამო გაამხნევეს. ისე კი, ნამდვილად ბრწყინვალედ ითამაშა 30 წლის პოლ გასქოინმა, რომელმაც მართლაც რომ შეუდარებელი დრიბლინგის არაერთგზისი დემონსტრაცია მოახდინა.

იან რაიტი

საერთოდ კი, ინგლისელთა თამაშმა, რომელშიც სკოულზისა და ფაულერის მიერ გატანილი გოლების წყალობით გაიმარჯვეს ანგარიშით 2-0, 46 ათას მაყურებელზე მაინც არ დატოვა ჯეროვანი შთაბეჭდილება, კამერუნელები კი ლონდონში, უბრალოდ, დაიბნენ და სუსტი მოწაფეებივით გამოიყურებოდნენ. ამის მიუხედავად, მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე გლენ ჰოდლმა, საკუთარი გუნდის არც თუ ისე მწყობრი თამაში რომ აღნიშნა, მაინც განაცხადა, რომ კამერუნელები, რომლებსაც ბრწყინვალე ტექნიკა აქვთ, მაგრამ არასაკმარისი კოლექტიური მოქმედება, მსოფლიო ჩემპიონატისათვის მაინც ყველასათვის სახიფათო იქნებიან.

რა თქმა უნდა, საკონტროლო მატჩებს მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არავინ ანიჭებს, მაგრამ ინგლისელ გულშემატკივრებზე მაინც მეტად უსიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ლონდონში 11 თებერვალს ჩილელებთან წაგებულმა მატჩმა. ამჯერად ჰოდლმა ასეთი შემადგენლობა გამოსცადა: მარტინი, გ. ნევილი, კემპბელი, ბეტი, ადამსი, ფ. ნევილი, ლი, ბატი, დაბლინი, შერინგემი, ოუენი. შემდეგ შეცვლაზე გამოვიდნენ საუტგეიტი, ჰისლოპი, ლე სო, ინსი, გასქოინი, მაკმანამანი და შირერი. უნდა აღინიშნოს ჭაბუკ თავდამსხმელ მაიკლ ოუენის დებიუტი. ამ დღეს იგი იყო 18 წლისა და 51 დღისა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დამყარდა ახალი თავისებური რეკორდი, რაც იმაში გამოიხატა, რომ ოუენი ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე აღმოჩნდა იმათგან, ვინც მთელი ისტორიის მანძილზე ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა. ახლა მას მთელი წლის „მარაგი“ აქვს ახალი რეკორდის დამყარებამდე – შეუძლია ნაკრებში გატანილი გოლის ყველაზე ახალგაზრდა ავტორი გახდეს. საერთოდ კი, აღინიშნა, რომ ჩილელები, თუმცა ამ დღეს ცნობილი სნაიპერი ივან სამორანო არა ჰყავდათ, ინგლისელებზე უფრო სწრაფად და საინტერესოდ თამაშობდნენ. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სამხრეთამერიკული ფეხბურთის ახალმა ვარსკვლავმა მარსელო სალასმა, რომელსაც მეტსახელად „მატადორი“ ჰქვია. იგი არც ისე დიდი ხანია, რაც არგენტინულ „რივერ პლეიტიდან“ 20 მილიონი დოლარის ფასად რომის „ლაციოში“ გადავიდა. მან 45-ე და 79-ე წუთზე (პენალტით) ორი უპასუხო გოლი გაუტანა ინგლისელებს, რომელთა დამარცხება „უიმბლიზე“, გასაგებია, განსაკუთრებულ მოვლენად ითვლება.

უსიამოვნებისაგან ვინ არის დაზღვეული! ჰოდლმა გააგრძელა მზადება მსოფლიო ჩემპიონატისათვის და ერთ-ერთ უკანასკნელ შეკრებაზე გამოიძახა შემდეგი მოთამაშეები: ***მეკარეები*** – ნაიჯელ მარტინი („ლიდს იუნაიტედი“), ტიმ ფლაუერსი („ბლეკბერნ როვერსი“) და კევინ პრისმენი („შეფილდ უენსდეი“, რომელიც პირველად იქნა მიწვეული ნაკრებში), ***მინდვრის მოთამაშეები*** – გარეტ საუთგეიტი (ბირმინგემის „ასტონ ვილა“), ჰარი ნევილი, ფილ ნევილი, პოლ სკოულზი, დევიდ ბეკჰემი, ნიკი ბატი, ტედი შერინგემი, ენდი კოული (ამდენი მოთამაშის მიწვევა „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ ნუ გაგვაკვირვებს, იგი ხომ ჩემპიონი და ახლანდელი გათამაშების ლიდერია), ტონი ადამსი, მარტინ კიოუნი, რეი პერლოური („არსენალი“ უკანასკნელი ნაკრებში ასევე პირველად მიიწვიეს) ენდი ჰინჩკლიფი („შეფილდ უენსდეი“), გრემ ლე სო (ლონდონის „ჩელსი“), რიო ფერდინანდი („ვესტჰემ იუნაიტედი“, ლეს ფერდინანდის უმცროსი ძმა), პოლ ინსი, სტივ მაკმანამანი, მაიკლ ოუენი (სამივე – „ლივერპულიდან“), დევიდ ბეტი, რობერტ ლი, ალან შირერი (სამივე – „ნიუკასლ იუნაიტედიდან“), დიონ დაბლინი („კომენტრი“) და პოლ მერსონი („მიდლსბრო“). რა თქმა უნდა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია იმ ამბავმა, რატომ არ მიიწვიეს ნაკრებში მისი ერთადერთი ლიდერი პოლ გასქოინი, მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის გმირი. ამაზე გლენ ჰოდლმა განაცხადა, რომ ვეტერანი კარგა ხანს ავადმყოფობდა, ახლა უნდა აღიდგინოს სათანადო მზადყოფნა და, რა თქმა უნდა, „ლა-მანშის გადაკვეთის შესაძლებლობები არ დაუკარგავს. ერთ-ერთმა უნიჭიერესმა თავდამსხმელმა რომი ფაულერმა („ლივერპული“, 1975) კი ეს შესაძლებლობა, ეტყობა, ნამდვილად დაკარგა. მან იმდენად მძიმე ტრავმა მიიღო, რომ, ექსპერტების აზრით, ვერ მოახერხებს ივნისისათვის მწყობრში ჩადგომას. ისე კი, ფაულერი ნაკრებში შირერის ერთ-ერთ კონკურენტად ითვლებოდა“.

ერთი სიტყვით, ჰოდლი კიდევ ჩაატარებს რამდენიმე საკონტროლო მატჩს, მაგრამ ნაკრების ბირთვი, გასაგებია, ახლავე მეტნაკლებად ცნობილია. მას „ვენეიბლსის ვეტერანებთან“ ერთად ახალი მწვრთნელის მიერ დაწინაურებული ახალგაზრდა ტალანტები შეადგენენ. ვიმეორებთ, ექსპერტების აღიარებით, ასეთი ნიჭიერი ახალი თაობა ინგლისის ნაკრებს კარგა ხანია აღარ ჰყოლია.

ბივი თორელი

FRANCE 98 INFORMATIONS

საფრანგეთის შემდეგ მნვრთნელთა როგაციაა მოსალოდნელი

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ფინალური ტურნირის მონაწილეები ამხანაგურ მატჩებს მართავენ.

არგენტინელებთან და მაკედონიელებთან წაგების შემდეგ ბულგარეთის ფეხბურთის მესვეურებმა განგაშის ზარი შემოჰკრეს, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხრისტო ბონევი დაიბარეს და მასთან ერთად დეტალურად განიხილეს გუნდის მზადების შემდგომი გეგმა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ საფრანგეთში გამგზავრებამდე ნაკრები კიდევ სამ მატჩს გამართავს. ადრე ვიტყობინებოდით, რომ 22 აპრილს ბულგარელებთან სათამაშოდ სოფიაში კამერუნელები უნდა ჩასულიყვნენ, მაგრამ ფინანსური მოტივებით აფრიკელებმა უარი შეუთვალეს ბალკანელებს. ბულგარეთის ფეხბურთის ჩინოსნებმა რამდენიმე დღეში კამერუნელებს შემცვლელი გამოუნახეს — მაროკოელები. გარდა ამისა, ბულგარელები 1 ივნისს კაიზერსლაუტერნში შეხვდებიან ევროპის ჩემპიონებს, ხოლო ოთხი დღის შემდეგ ნეიტრალურ მინდორზე (სავარაუდოდ, ლუქსემბურგში) — ალჟირელებს.

აქტიურად ემზადება მომავალი ბატალიებისთვის არგენტინის ეროვნული ნაკრებიც, რომელიც აპრილის შუა რიცხვებიდან სამმატჩიან რაუნდს გამართავს. გაბრიელ პასარელას შეგირდები 15 აპრილს იერუსალიმში ისრაელის გუნდს შეხვდებიან, ერთი კვირის შემდეგ დუბლინში ირლანდიელებს შეეჯიბრებიან, კიდევ ასეთი შუალედით რიო-დე-ჟანეიროში — ბრაზილიელებს. ინტერესს მოკლებული არ იქნება გაგაცნოთ პასარელას მიერ გამოძახებული ლეგიონერების სია: რობერტო სენსინი (პარმა), მაურისიო პინედა (უდინეზე), პაბლო პასი (ტენერიფე), ნელსონ ვივასი (ლუგანო), გუსტავო ლომბარდი (სალამანკა), მათიას ალმეიდა (ლაციო), არიელ ორტეგა, კლაუდიო ლოპესი (ორივე — ვალენსია), გაბრიელ ბატისტუტა (ფიორენტინა).

სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინათ არგენტინელთა თავკაცმა გაბრიელ პასარელამ ოფიციალურად განაცხადა: „როგორც კი ჩამთავრდება საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატი, ალბათ, სხვაგან გადავალ სამუშაოდ. სავარაუდოდ ევროპაში გავწვრთნი ერთერთ კლუბს". მართალია, მწვრთნელს კონკრეტულად არ დაუსახელებია თავისი მომავალი სამუშაოს ადგილი, ჟურნალისტებმა ვარაუდი გამოთქვეს, რომ ეს ესპანური „რეალი" იქნება.

რაკი მწვრთნელთა სამომავლო კარიერას შევეხეთ, ალბათ, დაგაინტერესებთ ინგლისის ეროვნული ნაკრების გლენ ჰოდლის მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადებაც: „ხმები იმის თაობაზე, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ „მონაკოს" მწვრთნელი გავხდები, სინამდვილეს არ შეეფერება. არავითარი 5 მილიონი დოლარი ფრანგებს ჩემთვის არ შემოუთავაზებიათ". საქმე იმაშია, რომ მუნდიალის დამთავრების შემდეგ საფრანგეთის თავკაცი ემე ჟაკე თანამდებობიდან გადადგება, მის შემცვლელად კი „მონაკოს" ამჟამინდელ მწვრთნელს ჟან ტიგანას ასახელებენ. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ხმები დაირხა „მონაკოში" ჰოდლი მიდისო. ახლა კი, ინგლისელის განცხადების შემდეგ ეს საკითხი ღიად დარჩა.

ფილიპ ტრუსიე – აფრიკელი ფეხბურთის მცოდნე

ფრანგი სპეციალისტი ფილიპ ტრუსიე, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ სამხრეთ აფრიკის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში, ამ კონტინენტის ფეხბურთის დიდ მცოდნედ ითვლება.

ტრუსიე დაიბადა 1955 წლის 21 მარტს, პარიზში. 8 წლის განმავლობაში თამაშობდა „ანგულესა", „რუანსა" და „სტად დე რეიმსში", შემდეგ წვრთნიდა „ალენსონს", „რედ სტარსა" და „კრეიეშის". ამასთან, არც ერთი ამ სამი კლუბიდან უმაღლეს დივიზიონში არ გამოსულა. 1989 წლიდან აფრიკაში გადასახლდა და სწრაფად მოიპოვა წარმატება – უკვე 1990 წელს მისი კლუბი ასეკ-ი (აბიჯანი) აფრიკის ჩემპიონების თასის მფლობელი (ეს შეჯიბრება ევროპის უეფას თასის ანალოგიურია) და კოტ დ'ივუარის ჩემპიონი გახდა. 1992 წელს ტრუსიე ამ კლუბთან ერთად ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს წვრთნიდა და ახლა უკვე აფრიკის თასი მოიპოვა. შემდეგ მუშაობდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, წვრთნიდა „კაიზერ ჩიფსს", გადავიდა მაროკოში, სადაც ხელმძღვანელობდა „კრედიტ აგრიკოლსა" და ფუს-ს. ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ სათავეში ჩაუდგა ნიგერიის ნაკრებს და გუნდს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის საგზური მოუპოვა. ამის მიუხედავად, ნიგერიელები გვინეელებთან მატჩში რომ დამარცხდნენ, რომელიც უკვე აღარაფერს წყვეტდა, ტრუსიე მაინც გაანთავისუფლეს. ფრანგი სპეციალისტი სულ ცოტა ხანს იყო უმუშევარი – უკვე შარშანდელ ოქტომბერში. ბურკინა – ფასოს ნაკრების მწვრთნელად მიიწვიეს და იქ დიდი წარმატება მოიპოვა – ეს უსახელო ნაკრები აფრიკის თასის (იგივეა, რაც კონტინენტის ჩემპიონატი) ნახევარფინალამდე მიიყვანა. მისი კონტრაქტი სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებამდე გაგრძელდება. ახლა ტრუსიე ფიქრობს, რომ უნდა გამოსწორდეს ერთი მეტად სერიოზული ნაკლი. ნაკრებს არ შეუძლია მთელი მატჩის სრული დატვირთვით თამაში. არა მარტო იმ გაგებით, რომ ზოგჯერ 70 წუთს მძლავრად თამაშობს და 20 წუთს „ისვენებს". შეიძლება ასეც მოხდეს – 20 წუთი ითამაშოს და 70 წუთი „დაისვენოს". იქნებ ეს ზოგიერთ აფრიკულ გუნდთან თამაშისათვის საკმარისია, მაგრამ რა უნდა გააწყო საფრანგეთისა და დანიის ნაკრებებთან.

ამის მიუხედავად, ფილიპ ტრუსიე იმედს არ ჰკარგავს. იგი ფიქრობს, რომ ევროპაში მოთამაშე ლეგიონერებზე დაყრდნობით შეიძლება საფრანგეთში სპატიო შედეგების მიღწევა. ეს ლეგიონერები ხომ ინგლისში, ესპანეთში, იტალიაში, ჰოლანდიაში, თურქეთსა და შვიცარიაში თამაშობენ. ისე რომ, საბოლოო შეკრების წინ, როგორც ტრუსიე ფიქრობს, იგი კარგად მომზადებულ ფეხბურთელებს მიიღებს.

აპარტეიდს მძიმე დარტყმა სწორედ ფეხბურთმა მიაყენა

სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდი ოფიციალურად 1992 წლის რეფერენდუმის შემდეგ გაუქმდა, მანამდე კი მას ერთ-ერთი მძიმე დარტყმა სწორედ ფეხბურთმა მიაყენა!

1997 წლის 18 თებერვალს ნფლ-ს (ფეხბურთის ეროვნული ლიგა, სადაც თამაშის უფლება მხოლოდ თეთრკანიანებს ჰქონდათ) კლუბ „არკადია შიპჰერდსში" პირველად გამოჩნდა ვინსენტ „ტანტი" ჯულიუსი. კარიერის დასაწყისში იგი მეკარედ თამაშობდა, შემდეგ კი თავდამსხმელი გახდა.

აი, როგორ იგონებს ამ შემთხვევას „არკადიის" მაშინდელი მფლობელი, პრეტორიელი ბიზნესმენი პოლ სეკსი: „მაშინ ჩვენთან მწვრთნელად „გლაზგო რეინჯერსის" ყოფილი მოთამაშე კაი იოჰანსენი მუშაობდა. აი სწორედ მისი იდეა იყო ნაკრებში შავკანიანი ფეხბურთელის მოწვევა. ჩვენი მოკავშირე იყო... მოულოდნელობა – მატჩის დღეს ჯულიუსი კლუბის ოფისში დავმალეთ, 7 საათსა და 30 წუთზე კი, როცა თამაშის დაწყებას სულ ნახევარი საათი აკლდა, დავურეკე ნფლ-ს ერთ-ერთ ხელმძღვანელ მაიკლ რეპს, ვუთხარი, რომ ჩვენს გუნდში, შავკანიანი ფეხბურთელი ითამაშებდა და თანხმობაც მივიღე. გავიდა სულ 10 წუთი და ახლა უკვე მაიკლ რეპი დამიკავშირდა ტელეფონით: „ზოგიერთ სხვა კლუბის ხელმძღვანელებს ველაპარაკე და მინდა გაგაფრთხილო, რომ თუ თქვენს გუნდში შავკანიანმა ფეხბურთელმა ითამაშა, ლიგიდან გაგრიცხავენ". ამის მიუხედავად, მაინც გადავწყვიტეთ რისკი გაგვეწია".

თამაშამდე, 10 წუთით ადრე სამხრეთ აფრიკისათვის ეს ყველაზე დიდი საიდუმლო გავამჟღავნეთ – ჯულიუსი ჩვენს დანარჩენ მოთამაშეებს წარვუდგინეთ. ყველა ფეხბურთელმა მხარი დაგვიჭირა. როცა ჩვენი გუნდი მინდორზე გავიდა, მაყურებელი, თვითრებიცა და შავკანიანებიც, ფეხზე წამოდგა, სტადიონი აგუგუნდა. აპარტეიდის ყველაზე მეტი მომხრე აფრიკანერებს, ანუ როგორც მათ ხშირად უწოდებენ, ბურებს (ჰოლანდიური წარმოშობის აფრიკელები) ჰყავდათ. მეორე დღეს მემარჯვენე ორიენტაციის გაზეთებმა ლანძღვა-გინებით აგვიკლეს, მაგრამ მთავრობას უკვე აღარაფრის გაკეთება არ შეეძლო. სხვა გუნდებშიც გამოჩნდნენ შავკანიანი მოთამაშეები". სამხრეთ აფრიკის ფიფას წევრად აღდგენას კიდევ 15 წელი და პრეზიდენტ დე კლერკის პოლიტიკური რეფორმები დასჭირდა, მაგრამ ყველაფერი ბიზნესმენმა დაიწყო, რომელიც შეიძლება რასების თანასწორუფლებიანობისათვის მაინცდამაინც დიდ მებრძოლთა რიგებს არ მიეკუთვნებოდა, მაგრამ რისკი პირადი მოგებისათვის გასწია – ახლა ხომ გულშემატკივართა რიცხვი შავკანიანთა ხარჯზე მკვეთრად გაიზრდებოდა.

თვით ჯულიუსი ზედიზედ 3 სეზონის მანძილზე „არკადიის" საუკეთესო სნაიპერი იყო, შემდეგ კი აშშ-ს კლუბ „სან-დიეგო სოკერსში" გადავიდა)

სტატისტიკის მოყვარულთათვის

ყველა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპები

1. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე დებიუტი ექნებათ, იამაიკას, იაპონიას, სამხრეთ აფრიკას და ხორვატიას.

2. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპებში უველაზე მეტი მატჩი ჩაატარეს: ბრაზილიისა (ითამაშა 15 ჩემპიონატი) და გერმანიის (ითამაშა 13 ჩემპიონატი) ნაკრებებმა – 73-73 მატჩი. იტალიის (13 ჩემპიონატი) ნაკრებმა 61 მატჩი ჩაატარა, არგენტინამ (11 ჩემპიონატი) – 52 მატჩი.

3. ფინალურ ეტაპში უველაზე მეტი ბურთი გაიტანა ბრაზილიის ნაკრებმა – 159. შემდეგ მოდიან: გერმანიის ნაკრები – 154, იტალიის – 97 და არგენტინის – 90 გოლი.

4. უველაზე ახალგაზრდა მსაჯი, რომელიც მოემსახურა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს, არის შვედი ივან ეკლუნდი, იგი მსაჯობდა 1994 წლის ფინალს (იტალია-ჩეხოსლოვაკია), მაშინ ის 28 წლის იყო.

5. 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბოლივიელმა მსაჯმა საუსედომ (არგენტინა-მექსიკა 6-3) დანიშნა რეკორდული რაოდენობის 11-მეტრიანი ერთ მატჩში: 5 პენალტი, აქედან 4 მექსიკელთა კარში.

6. 1982 წლამდე უველა ფინალური მატჩის მთავარი მსაჯი იყო ევროპელი, ხოლო 1982 წლის ფინალი იმსაჯა ბრაზილიელმა კოელომ.

7. სულ მსოფლიო ჩემპიონტის ფინალს მოემსახურნენ შემდეგი ქვეყნის მსაჯები: ინგლისი 3 (რიდერი – 1950; ლინგი – 1954; ტეილორი – 1974 წ.). საფრანგეთი 2 (კაპდევილი – 1938; გოგი – 1958 წ.); ბრაზილია – 2 (კოელო – 1982; ფილო – 1986); ბელგია 1 (ლანგენუსი – 1930 წ.); შვედეთი 1 (ეკლუნდი – 1934 წ.); სსრკ 1 ლატიშევი – 1962 წ.); შვეიცარია (დინსტი – 1966 წ.); გდრ 1 (გლეკნერი – 1970 წ.); იტალია 1 (გონელა – 1978 წ.) მექსიკა 1 (მენდესი – 1990 წ.) და უნგრეთი 1 (პული – 1994 წ.).

8. პირველი შეცვლა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ სტადიაში მოხდა 1970 წელს მატჩში მექსიკა – სსრკ: სერებრიანიკოვის ნაცვლად 46-ე წუთზე თამაშში შევიდა პუზაჩი.

9. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის *პირველი* გოლი გაიტანა ფრანგმა ლუსიენ ლორანმა 1930 წლის 13 ივლისს. მე-500 გოლი გაიტანა რობერტ კოლინზმა (შოტლანდია) – 11 ივნისი 1958 წელი. მე-1000 – რობერტ რენსენბრინკმა (ჰოლანდია) – 11 ივნისი 1978 წელი. მე-1500 – კლაუდიო კანიჯამ (არგენტინა) – 1994 წელს.

10. 1930 წლის ფინალში (ურუგვაი-არგენტინა 4-2) მეოთხე ბურთი გაიტანა ურუგვაელმა კასტრომ. ეს გოლი აღსანიშნავია იმით, რომ კასტრო იყო ცალხელა.

11. ინგლისელი ჯ. ჰერსტი არის ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში შეასრულა ჰეთ-თრიკი. ეს მოხდა 1966 წელს (ინგლისი – გფრ 4-2).

12. ბრაზილელი ვავა და გერმანელი ბრაიტნერი არიან ის ფეხბურთელები, რომლებმაც ბურთები გაიტანეს ორი მსოფლიო ჩემპიონატების ფინალებში: ვავამ (შვედეთან 1958 და ჩეხოსლოვაკიასთან 1962 წ.); ბრაიტნერმა (ჰოლანდიასთან 1974 და იტალიასთან 1982 წ.)

13. ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური ეტაპებიდან *საშუალოდ* უველაზე უხვგოლიანი 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატია, სადაც მონაწილეობდა 16 გუნდი; ჩატარდა 26 მატჩი და გავიდა 140 გოლი. საშუალოდ 5,38 ბურთი ერთ მატჩში.

14. უველაზე მეტი გოლი გატანილია 1982 წლის ჩემპიონატში – 146, მაგრამ მონაწილეობდა 24 გუნდი და ჩატარდა 52 მატჩი, საშუალოდ 2,81 ბურთი ერთ მატჩში.

15. პირველი *„ავტო"* გოლი აღინიშნა 1930 წლის ჩემპიონატში და ის მექსიკელ მ. როხასის ანგარიშზეა (მექსიკა – ჩილი 0-3).

პირველი *„ჰეთ-თრიკი"* შესრულდა 1930 წლის ჩემპიონატში: არგენტინელი სტაბილე (არგენტინა – მექსიკა 6-3). უველაზე სწრაფი „ჰეთ-თრიკი" შეასრულა უნგრელმა კიშმა, რომელმაც ამას 7 წუთი მოანდომა.

პირველი *„ჰეკერი"* აღინიშნა 1938 წელს და მისი ავტორია ბრაზილიელი ლეონიდასი (ბრაზილია – პოლონეთი 6-5). უველაზე სწრაფი „ჰეკერი" პორტუგალიელ ეუსებიოს ეკუთვნის 32 წუთში. 1994 წლის ჩემპიონატზე რუსმა ო. სალენკომ ერთ მატჩში გაიტანა 5 ბურთი და დაამყარა რეკორდი (რუსეთი-კამერუნი 6-1).

16. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ერთადერთია, როცა ჩემპიონი გამოვლინდა 11-მეტრიანი დარტყმებით. მანამდე: 1934, 1996 და 1978 წლების ჩემპიონატებში გამარჯვებული დამატებითმა დრომ გამოავლინა.

17. მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ სტადიაში უველაზე მეტი მატჩი ითამაშეს გერმანელებმა: უვე ზეელერმა (1958 წ – 5 თამაში; 1962 წ – 4; 1966 წ. – 6 და 1970 – 6 თამაში). ლოთარ მათეუსმა (1982 წ. – 2 თამაში; 1986 წ. – 7; 1990 წ. – 7 და 1994 წ. – 5 თამაში). პოლონელმა ვლადისლავ ჟმუდამ (1974 წ – 7; 1978 – 6; 1982 – 7 და 1986 წ. – 1 თამაში), არგენტინელებმა – დიეგო მარადონამ (1981 – 5; 1986 – 7; 1990 – 7; 1994 – 2). მათ ითამაშეს 21-21 მატჩი.

18. სულ ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატების ფინალებიდან უველაზე მეტი მაყურებელი ჰყავდა 1950 წლის ფინალს (ბრაზილია – ურუგვაი 1-2), რომელიც ჩატარდა რიო-დე-ჟანეიროში „მარაკანას" სტადიონზე და დაესწრო 173.850 კაცი. 1986 წლის ფინალს (არგენტინა – გფრ 3-2), რომელიც ჩატარდა მეხიკოს „აცტეკას" სტადიონზე, დაესწრო 114600 კაცი. 1970 წლის ფინალს (ბრაზილია – იტალია 4-1), რომელიც გაიმართა აგრეთვე მეხიკოში, დაესწრო 112000 მაყურებელი.

1966 და 1982 წლების ფინალს, რომლებიც ჩატარდა შესაბამისად ლონდონში („უემბლი") და მადრიდში („სანტიაგო ბერნაბეუ"), დაესწრო 100000-100000 მაყურებელი.

უველაზე ნაკლები მაყურებელი ჰყავდა 1934 წლის ფინალურ მატჩს (იტალია – ჩეხოსლოვაკია 2-1), იგი გაიმართა რომში და დაესწრო 43800 კაცი. 1958 წლის ფინალს (ბრაზილია – შვედეთი 5-2, ჩატარდა სტოკჰოლმში) – 52000 კაცი.

19. აღსანიშნავია, რომ 1934; 1938 და 1954 წლების ფინალებს (43800, 65000 და 65000) ჭაშში დაესწრო 173800 კაცი, რაც 50 კაცით ნაკლებია 1950 წლის ფინალზე.

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი, სოფელი ფშაფი

ჭაუილი სამხრეთაფრიკულად

სამხრეთაფრიკულმა ფეხბურთმა ამ ბოლო ხანებში საკმაო ავტორიტეტი მოიპოვა, მაგრამ ერთი სიანტერესო ამბითაც მიიქცია უურადღება – თურმე შესაძლებელი უოფილა მთელი საფეხბურთო კარიერის... შეთხზვა!

ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს არც ისე დიდი ხნის წინათ ჭეფ ბატლერი წვრთნიდა, მაგრამ მას გადადგომა მოუხდა და აი რატომ. ბატლერი ამტკიცებდა, რომ ადრე ინგლისის „ნოთს ქაუნთიში" თამაშობდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს მთლიანად მოგონილი უოფილა. სინამდვილეში კი „ნოთს ქაუნთიში", როგორც დაამტკიცა სამხრეთაფრიკული ფეხბურთის ინგლისელმა სპეციალისტმა მარკ გლისონმა, ეს ჭეფ ბატლერი კი არ უოფილა, არამედ მისი ბიძაშვილი. „აქ (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში) შეიძლება ბევრი ადამიანი ნახოთ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ „ლივერპულში" თამაშობდნენ, თუმცა, სინამდვილეში ან საერთოდ არ გამოჩენილან „ენფილდზე", ან დუბლში ერთი-ორი მატჩი ჩაატარეს" – წერს გლისონი. როგორც ჟურნალისტი ხსნის, განსაკუთრებული სიუვარული „ლივერპულისადმი" იმით არის გამოწვეული, რომ ამ კლუბში 80-იან წლებში მართლაც თამაშობდნენ სამხრეთაფრიკელები კრეიგ ჯონსტონი და დევიდ ჰიდჯსონი. ამიტომ მხილებული მწვრთნელი ჭეფ ბატლერი ძალზე მოკრძალებული კაცი უოფილა.

„ნაკრებში მუშაობა მნვრთნელს მეტად ძვირად უჯდება"

როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, უფრო ზუსტად კი 12 ივლისს, 57 წლის ემე ჟაკე გამოეთხოვება საფრანგეთის ნაკრებს. როგორც ჟაკემ ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის" კორესპონდენტს განუცხადა, მან ნაკრებში 4 წელი გაატარა, ისე რომ, 12 ივლისი უველა შემთხვევაში მისი გამოთხოვების დრო იქნება.

– ნაკრებში მუშაობა იმდენად რთულია, რომ იგი მთლიანად ნთქავს მწვრთნელს, შინაგანად აცარიელებს. მას საერთოდ აღარაფრისთვის რჩება დრო.

თავის მემკვიდრედ (თუკი, რა თქმა უნდა, დაუჯერეს) ემე ჟაკემ ახლო წარსულში განთქმული ნახევარმცველი ალენ ჟირესი დაასახელა, რომელიც ახლა „ტულუზას" წვრთნის.

უკანასკნელ საათს

ჩოგბურთი • დასრულდა დევისის თასის გათამაშების პირველი წრის უკანასკნელი მატჩი, რომელიც უამინდობის გამო იყო გადადებული: ამერიკელებმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს რუსეთელები. ბოლო დღის წინ ისინი 2-1 იგებდნენ, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად ძალზე ადვილად წააგო შეხვედრა რუს ევგენი კაფელნიკოვთან ანდრე აგასიმ – მან მეტო-

ჯიმ კურიე

ქესთან ნათამაშევ სამ სეტში 42 (!) უნებლიე შეცდომა დაუშვა. ამის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა 2:2 და ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა ჯიმ კურიესა და 18 წლის მარატ საფინის შეხვედრას. ახალგაზრდა რუსეთელმა ვერ შეძლო გადაელახა გამოცდილი მეტოქის წინააღმდეგობა და საბოლოოდ დამარცხდა. კურიემ მატჩი ასე მოიგო: 0:6, 6:4, 4:6, 6:1, 6:4.

შემდეგ წრეში ამერიკელები ბელგიის ნაკრებს შეხვდებიან.

ფეხბურთი • მაშასა, ფეხბურთის მოყვარულები საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატში კიდევ ერთ ვარსკვლავს ვერ იხილავენ. ამჯერად, როგორც იტყობინებიან, 4-6 თვით გამოვიდა მწყობრიდან მიუხედავად „ბაიერნის“ ბრაზილიელი ფორვარდი ჯოვანი ელბერი: „ვერდერთან“ მატჩში მან ტრავმირებული მხარი ხელმეორედ დაიზიანა. ვარაუდობენ, რომ მას გუნდში სხვა ლეგიონერი, კერძოდ, რუჯერო რიციტელი შეცვლის.

• **ცნობილი** გახდა, რომ მომავალი საფეხბურთო სეზონიდან ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბ პსვ „აინდჰოვენს“ გაწვრთნის ინგლისელი სპეციალისტი ბობი რობსონი. კონტრაქტი ერთწლიანია და ამ ხნის განმავლობაში მწვრთნელი 2,5 მლნ. $-ს მიიღებს.

ჭადრაკი და ჰოროსკოპი

ამ 30-35 წლის წინათ. ბობი ფიშერს მკაცრად აკრიტიკებდნენ, ტურნირებში მონაწილეობისათვის დიდ თანხებს მოითხოვსო. ამერიკელ დიდოსტატს ორგანიზატორებიც ესხმოდნენ თავს და ჟურნალისტებიც. დღეს ეს პრაქტიკა უკვე დამკვიდრდა. წამყვან მოჭადრაკეებს შეჯიბრებებში თამაშისათვის წინასწარ უხდიან ჰონორარს, ისე რომ, თუ პრიზსაც მოიპოვებენ, ხომ კარგი, თუ არა და მაინც გვარიან თანხას იღებენ. განსხვავება იმ ძველ დროსთან ის არის, რომ თუ ადრე წინასწარი ჰონორარი 500-1000 დოლარი იყო, ახლა ექსტრაკლასის დიდოსტატები 10-20 ათას დოლარს იღებენ. სპეციალური ნიჰრიც კი არსებობს, როგორი რეიტინგის მქონე დიდოსტატმა რა უნდა მიიღოს.

ისე რომ, მოჭადრაკეთა ჰონორარი მკვეთრად გაიზარდა, ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ბობი ფიშერის დამსახურებაა, თუმცა აგრე იგი ბევრს კამათობდა და... ცოტას იღებდა. წიგნში „გარდაქმნის შვილი“ გარი კასპაროვი წერს იმის შესახებ, რომ ფიშერი პირველი „ნამდვილი პროფესიონალი“ იყო, რომელმაც დაამტკიცა, რომ ჭადრაკი შეიძლება კომერციულად მომგებიანი იყოს. ამ მხრივ მან ბევრად გაუსწრო თავის დროს. „ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ ამის შეგრძნებას“ – წერდა მსოფლიო ჩემპიონი.

ფიშერი თავისი ბუნებით ნოვატორად იყო დაბადებული. დიდოსტატი ალექსანდრ კოტოვი თავის მოგონებებში წერდა, რომ 1957 წლის დასაწყისში ბობის დედის რეგინა ფიშერისაგან წერილი მიიღო, სადაც რეგინა თხოვდა მისი 14 წლის შვილის... პარტიების კრებული შეეძინა! „ბობის უნდა ანგარიში ჰქონდეს საბჭოთა ბანკში“ – წერდა დედა. იგი თავის შვილს დაუნდობელი „კაპიტალისტური სისტემის მსხვერპლს“ უწოდებდა და აინტერესებდა, შეეძლო თუ არა 14 წლისას ფინანსური საქმეების წარმართვა.

ამერიკელმა პუბლიცისტმა ფრენკ ბრეიდიმ, რომელმაც ფიშერის ვრცელი, 450 გვერდიანი ბიოგრაფია დაწერა, გაიხსენა რამდენიმე ეპიზოდი იმის შესახებ, რომ ბობისათვის ბიზნესი უცხო არ ყოფილა, მაგრამ მთავარი მაინც „პირადი დამოუკიდებლობა“ იყო.

1958 წელს 15 წლის უმაწვილმა დიდ წარმატებას მიაღწია საზონთაშორისო ტურნირში და დიდოსტატი გახდა. დედამისმა გადაწყვეტა ამ გარემოების გამოყენება. მან გაზეთ „ნიუიორკ თაიმსის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა განცხადება არგენტინაში დამზადებული „ბობი ფიშერის საჭადრაკო ჩანთების“ გაყიდვის შესახებ. აქ გამოსახული იყო თვით ბობი, ხოლო მისი ავტოგრაფი მოოქროვილი ასოებით იყო გამოყვანილი. დედა აპირებდა ამ ჩანთების გაყიდვას. აშშ-ს ღია პირველობის მიმდინარეობის დროს, როცა ბობიმ ეს გაიგო, განრისხდა და აკრძალა ჩანთების გაყიდვა.

ამის შემდეგ რეგინამ გაზეთ „ნიუიორკ ჰერალდ ტრიბუნში“ გამოაქვეყნა წერილი, სადაც მოჭადრაკეებს სთხოვდა მის შვილს მატერიალურად დახმარებოდნენ საზღვარგარეთის ტურნირებში მონაწილეობისათვის. იგივე თხოვნით მან აშშ-ს საჭადრაკო ფედერაციასაც მიმართა. სულ შეგროვდა 3 ათასი დოლარი. „როცა ბობიმ ამის შესახებ შეიტყო, ამ თანხიდან ერთი ცენტიც კი არ აუღია – წერს ბრეიდი – მისი პრინციპი ყოველთვის ასეთი იყო – ფედერაციასთან საქმე არა ჰქონოდა. მისთვის დედის მიერ გაწეული რეკლამაც მიუღებელი იყო“.

ბრეიდის ერთი ეპიზოდი მოჰყავს, რაც ფიშერს კარგად ახასიათებს. დიდოსტატს ერთი მდიდარი კაცი, რომელსაც ბროდვეიზე საფეიქრო წარმოება ჰქონდა, დიდი სომპათიით ექცეოდა. მან თანხმობა განაცხადა ბობისთვის, რომელიც იუგოსლავიაში, 1959 წლის პრეტენდენტთა ტურნირზე გასამგზავრებლად ემზადებოდა, მატერიალური დახმარება გაეწია. „მე თვით ვერკვევი სარეკლამო საკითხებში, მაგრამ ფილანტროპია აქამდე არავისთვის გამიწევია. თქვენ კი ვარაფერს აკეთებთ იმისათვის, რომ ცხოვრების წესი შეიცვალოთ. აღტაცებული ვარ თქვენი საჭადრაკო ნიჭით, თუკი რამ გჭირდებათ იუგოსლავიაში გამგზავრების წინ, პირადად მე მომმართეთ.“

ბობი მას თითქოს ეთანხმებოდა. ისე ჩანდა, რომ მან ირწმუნა მდიდარი კაცისა.

– „თქვენგან მხოლოდ ერთი რამ მინდა – განაგრძო მდიდარმა – როცა გამოქვეყნდება ცნობა თქვენი მოგზაურობის შედეგების შესახებ, როცა გაიმარჯვებთ, ინტერვიუში ჩემზეც თქვით ორიოდე სიტყვა: „ვერ გავიმარჯვებდი, რემი ბლანკერს რომ ჩემთვის დახმარება არ გაეწია“.

ბობის გაეცინა (ბრეიდი თვით იყო ამ სცენის მოწმე) და თქვა:

„ამას ვერ გავაკეთებ თუკი ტურნირში გავიმარჯვებ, ეს იმის გამო მოხდება, რომ კარგად ვთამაშობდი. ამაში ვერავინ დამეხმარება, ტურნირს პირადად მოვიგებ, ჩემი ტალანტის წყალობით“.

1975 წელს, ფიშერს კარპოვთან უნდა ეთამაშა, ფილიპინებმა 5 მილიონიანი საპრიზო ფონდი შექმნეს. 1992 წელს, როცა ფიშერმა მატჩ-რევანშში სპასკი დაამარცხა, იუგოსლავიელებმა მეტოქეებს 5 მილიონი დოლარი გაუნაწილეს...

„სპორტლოტოს“ შედეგები

5 აპრილს გამართა ლატარია „სპორტლოტო 5-36“-დან გათამაშების მე-14 ტირაჟი, დაშვებული იყო 4397 ვარიანტი.

მოგებამხვედრილი ციფრები:

15. 16. 2. 18. 22.

5 და 4 ციფრი ვერავინ გამოიცნო; 3 ციფრის ამოცნობისათვის (43 ვარიანტი) – 8.90 ლარი. მოგებები განაღდდება 8 აპრილიდან 8 მაისის ჩათვლით.

მე-15 ტირაჟისათვის, რომელიც გაიმართება 12 აპრილს, „ჯეკ-პოტი“ შეადგენს 8808 ლარს, მასთან, გამარჯვებულს ელოდება გერმანიაში მოგზაურობა.

მოყვარულთა საყურადღებოდ!

ახალი ლატარიის „ტოტო-ლოტოს“ დანერგვასთან დაკავშირებით „სპორტლოტო 5-36-დან“ ტირაჟები შეწყდება 12 აპრილს, მე-15 ტირაჟის შემდეგ.

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო აკადემია

აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად

ბიომექანიკის კათედრაზე

1. კათედრის დოცენტი 1 ერთეული – მეცნ. კანდ. ბიომექანიკის სპეციალობით;
2. კათედრის დოცენტი 1 ერთეული – მეცნ. კანდ. სპორტის მეტროლოგიის სპეციალობით.

ზ/ა თეორიის კათედრაზე

1. კათედრის დოცენტი 1 ერთეული – მეცნიერების კანდიდატი.

ფეხბურთის, ჩოგბურთის და ხელბურთის კათედრაზე

1. კათედრის უფრ. მასწავლებელი 1 ერთეული, ხელბურთის სპეციალობით.

ალპინიზმის, თხილამურებისა და ველოსპორტის კათედრაზე

1. კათედრის უფრ. მასწავლებელი 1 ერთეული, თხილამურების სპეციალობით;
2. კათედრის მასწავლებელი 1 ერთეული, მეკლდეურობის სპეციალობით.

ჰიდრობის, კალოსნობისა და პრივის სპეციალობით

1. კათედრის გამგე – 1 ერთეული – მეცნ. კანდ. დოცენტი;
2. კათედრის მასწავლებელი 1 ერთეული, აღმოს. ორთაბრძოლის სპეციალობით.

წყალთა სახეობების კათედრაზე

1. კათედრის უფრ. მასწავლებელი 1 ერთეული – წყალში ხტომის სპეციალობით;
2. კათედრის მასწავლებელი 1 ერთეული – წყალბურთის სპეციალობით.

კონკურსის ვადაა 1 თვე დღიდან გამოცხადებისა.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 49, ტელ: 23-09-02.

ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სპორტის დამსახურებული ოსტატის, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს სამგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, სამშობლოს ღირსეული შვილის

ბივი კარტოზიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწუება, რომ გარდაიცვალა ამავე ფედერაციის აღმასკომის წევრი, ბაკურიანის გამგებელი, ყოფილი მოთხილამურე

ბესარიონ (ბესო) ებრალიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

37

20

50

54

თარაზულად: 3. 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინელი ფეხბურთელი, 5. უახლოეს წარსულში ქართველი ჩოგბურთელი ქალი, 6. „ლივერპულის“ გერმანელი ფეხბურთელი, 8. „პარმას“ მეკარე, 9. ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილი, 13. „მანჩესტერის“ უელსელი ფეხბურთელი, 14. „ნიუკასლის“ მეკარე, 15. წარსულში თბილისის და მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელი, მეკარე, 17. სლოვაკი ჩოგბურთელი ვაჟი, 21. საფარიკაო იარაღი, 24. კარატეს ერთ-ერთი სკოლის სახელწოდება, 26. ბულგარეთის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 28. 80-იანი წლების ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრების თავდამსხმელი, 31. სტადიონი ბრაზილიაში, 32. პოლ გასკოინის მეტსახელი, 33. რუმინელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 34. 80-იანი წლების ცნობილი კიეველი ფეხბურთელი, მცველი, 36. უახლოეს წარსულში ფორმულა-1-ის ინგლისელი პილოტი, 37. უახლოეს წარსულში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი, მცველი, ამჟამად გამოდის რუსთავის გუნდში *(ფოტო)*, 39. წარსულში ცნობილი ბრაზილიელი მეკარე, 41. კოლუმბიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 44. ცნობილი გერმანელი ციგურებით მორბენალი ქალი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, 45. „მონაკოს“ ნიგერიელი ფეხბურთელი, 49. „ფიორენტინას“ შვედი ფეხბურთელი, 51. რუსთავის საფეხბურთო გუნდის თავდამსხმელი, 52. პროფესიონალ ველოსიპედისტთა შეჯიბრი, „ჯირო დ...“, 55. „ლაციოს“ ჩილელი ფეხბურთელი, 56. ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 57. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 58. 60-იანი წლების პორტუგალიის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი.

შვეულად: 1. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 2. „ინტერის“ მცველი, 3. 60-იანი წლების კიეველი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 4. ნჰლ-ში მოთამაშე ლატვიელი მეკარე, 5. ცნობილი არგენტინელი საფეხბურთო მწვრთნელი, 7. „ლივერპულის“ საფეხბურთო მწვრთნელი, 8. „შტუტგარტის“ ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 10. კვიპროსის საფეხბურთო კლუბი, 11. მუჰამედ ალის ნამდვილი გვარი, 12. 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონი გერმანელი ფეხბურთელი, 14. თურქეთის საფეხბურთო კლუბი, 16. 60-იანი წლების „რეალისა“ და ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების არგენტინელი მეკარე, 17. ბილიარდში: წითელი ბურთი, 18. 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 19. 70-იანი წლების ფორმულა-1-ის ინგლისელი პილოტი, მსოფლიოს ჩემპიონი, 20. რუსეთის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი *(ფოტო)*, 22. მოსკოვის „სპარტაკის“ ნახევარმცველი, 23. საფეხბურთო ვუნდერკინდი, 25. „დეპორტივოს“ და პორტუგალიის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 27. 1998 წლის ოლიმპიური ჩემპიონი „პიტსბურგის“ ჩეხი ჰოკეისტი, 28. „პარმას“ ფეხბურთელი, მცველი, 29. ჯიმი, 30. 60-70-იანი წლების ცნობილი შოტლანდიელი ფეხბურთელი, 35. 1998 წლის სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ჰოლანდიელი მოციგურავე, 38. „ჩიკაგოს“ ხორვატი კალათბურთელი, 40. 80-იანი წლების „პორტოს“ ალჟირელი ფეხბურთელი, 42. „ნიუკასლის“ და ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი, 43. იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი, 46. ხარებთან ბრძოლა, 47. 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინელი ფეხბურთელი, 48. 70-იანი წლების ცნობილი პერუელი ფეხბურთელი, 50. წარსულში ცნობილი წყალში მხტომელი ქართველი ქალი *(ფოტო)*, 53. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი, 54. ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი *(ფოტო)*.



შეადგინა დიმა ჯიჯელავამ (თბილისი)

საჭადრაკო ალეშანა

ო. გამყრელიძე (თბილისი)



a b c d e f g h

შამათი 5 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

თეთრები ორჯერ „ქსოვენ“ მოხდენილ შამათს:

კf5 – ცუგცვანგი,

1. ეc1 a3 2. მb2! ab 3. ეc4+ მფა3 4. ეa4X და 1. ...ab 2. a3+ მფა4 3. ეc3! b2 4. მ:b2X.

— ორივე შემთხვევაში ეკონომიური და სუფთა ფინალებით.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. მონტერო, 7. ნილსენი, 8. ალბერტინი, 11. ლივიო, 14. მარდი, 15. ფოულერი, 16. ნოვოტნა, 17. მანჩინი, 20. ფროინდი, 22. ბესტი, 23. ერერა, 26. კიპკიტერი, 27. ალფონსო, 28. ივანოვი.

შვეულად: 1. რომარიო, 2. კროლი, 3. „ცინონი“, 4. ანდრადე, 6. ტარდელი, 9. ჩილავერტი, 10. რაიცგერი, 12. ჯონერი, 13. ორლანდო, 18. ფიოლერი, 19. ჯენტილე, 21. კრუტოვი, 24. რიოსი, 25. კრივი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე